პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 200,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 297 ოთხშაბათი, 27 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 298

დღიური

საბჭოთა მეათე ყრილობაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა სახალხო კომისარი სოკოლნიკოვი.

ნეაპოლში ფაშისტებმა დაარბიეს ანტიფაშისტური გაზეთის რედაქცია.

ინდოეთში ინგლისის საჰაერო პლანებმა ყუმბარები დაუშინეს ერთერთი ტომის ხალხს.

ლიტვინოვმა ნოტა გაუგზავნა ანტანტის სახელმწიფოებს მემელის საკითხის შესახებ.

იაპონიის ვაჭარ მრეწველებმა დაარსეს საზოგადოება ციმბირთან ვაჭრობის მიზნით.

მიიღება ხელისმოწერა გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარი თვეში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი“	ქართული	230.000	200 000
„პრავდა გრუზია“ . . .	რუსული	230.000	200.000
„კარმირ ასტხ“	სომხური	230 000	200.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა საპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10.000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

საქართ. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 29 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში: 1) მუშათა მოძრაობა დასავლეთში და კაპიტალის შემოტევა (პროფინტერნის ყრილობის გამო).

თეზისები გამოქვეყნებული იქნება გაზეთის მახლობელ ნომერში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

სამელიორაციო მუშაობისათვის

ჩვენი ქვეყნის და საერთოდ ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის აყვავებას არავითარი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული როგორც მეფის, ისე შემდეგი, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების რეჟიმის დროს.

მეფის თვითმპყრობელობა მიზნად ისახავდა, რათა ჩვენი მხარე ყოფილიყო განუვითარებელი და სავსებით დამოკიდებული ცენტრიდან არა მარტო პოლიტიკურ-კულტურულად, არამედ ეკონომიურადაც. არც ნაციონალისტურ მთავრობებს მოუცლიათ ამ საქმისათვის. ისინი უფრო ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცების სამუშაოში იყვნენ ჩაბმულნი და აჯანყებულ რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებთან ბრძოლაში, ვინემ ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

ამის შედეგი კი ის იყო, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ვერ მოყავდათ ხორბლეულის და სხვა საარსებო საგნების ის რაოდენობა, რომელიც დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ ყოველთვის სხვის შემყურე იყო, გარედან შემოჰქონდა საჭირო პურეული და სხვა საგნები. ასეთი მდგომარეობა არასოდეს არ იყო ნორმალური, მაგრამ ის პირდაპირ აუტანელი გახდა მას შემდეგ, როცა მსოფლიო ბაზარს მოვსწყდით და ჩვენი რესურსების ანაბარა დავრჩით.

ჩვენი მხარის ბუნებრივი პირობები კი ისეთია, რომ, თუ ისინი სათანადოთ გამოვიყენეთ, თამამად შეგვიძლია საკუთარი საშუალებებით თავის გატანა, კიდევ მეტი: ზედმეტი სიმდიდრის შექმნაც, რომლითაც შესაძლებელი იქნება მშრომელთა სახელმწიფოს ეკონომიური ბაზის განმტკიცება და საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში მნიშვნელოვან პოზიციების დაკავება.

ბუნებრივი პირობები კი ამისათვის უეჭველად გვიწყობს ხელს. ჩვენს რესპუბლიკებში მიწის საკმაო რაოდენობა მოიპოვება, რომელიც დღემდე ხელუხლებელია, მაგრამ რომელიც შეიძლება გახდეს ხალხის სიმდიდრის და კეთილდღეობის წყაროდ. ასეთია ერთი მხრივ, უდაბური, მშრალი ველები, მეორე მხრივ, დიდძალი ჭაობიანი ადგილები. მორწყვა ამ, დღეს უნაყოფო მინდვრების, გაშრობა ჭაობების და მათი გადაქცევა სახნავ-სათეს რაიონებად,—ეს შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ერთ მთავარ ამოცანათაგანს. ამ მიმართულებით კარგა ხანია რაც მუშაობა დაწყებულია, ყველამ კარგათ იცის, თუ რა მუშაობა წარმოებდა და ეხლაც წარმოებს ჩვენში სარწყავ არხების გასაყვანად. ამ სფეროში, მიუხედავად მცირე დროისა რომელიც იყო ჩვენს განკარგულებაში საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროიდან, მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. ასეთი მუშაობა წარმოებს მეზობელ რესპუბლიკებშიაც. ავიღეთ გინდ მუღანის ველი. მუღანის თვალუწვდენელ მიდამოს შეუძლია ბეღლად იქცეს და გამოკვებოს მთელი ამიერ-კავკასია. მის მოსარწყავად გაცხოველებული მუშაობა უკვე წარმოებს.

მაგრამ დღემდე ეს სამელიორაციო მუშაობა წარმოებდა განცალკევებულად თითეულ რესპუბლიკაში, საკუთარი მცირე ძალებით და რესურსებით. და რომ ამ სფეროში მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგებს, საჭიროა ჩვენი ფედერაციის მაშტაბით ძალების გაერთიანება, მუშაობის კოორდინაცია, საერთო ხელმძღვანელობა.

მელიორაციის საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიის პირველმა საბჭოთა ყრილობამ. მან დაადგინა, სამელიორაციო მუშაობის გაფართოება, მისი გაერთიანება და ამისათვის სათანადო ერთიანი ცენტრის შექმნა ამიერ კავკასიის ფედერალურ მთავრობასთან.

ეს დადგენილება უეჭველად დიდი მნიშვნელობისაა. მელიორაციის მხოლოდ საერთო გეგმის გამომუშავებით ამ გეგმის განსახორციელებლად მხარის ტეხნიკური ძალების, მატერიალურ და ფინანსიურ რესურსების რაციონალური გამოყენებით შეიძლება სასოფლო მეურნეობის სასურველი განვითარება ჩვენში. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ეკონომიურად მძლავრნი გავხდეთ და დამოუკიდებელნი კაპიტალისტურ ქვეყნების ბაზრებიდან.

მელიორაციის საქმის ფართოდ დაყენება ეს სასიცოცხლო, მასთან რთული საკითხია და ის უნდა გადაიჭრას საერთო ძალებით.

მუშაობა ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობად უკვე დაიწყო. საჭიროა თანხა. მოქალაქენო, გაგვიწიეთ დახმარება!

სახალხო განათლების საკითხი საბჭოთა მეათე ყრილობაზე

„რუსეთში, საბჭოთა რეჟიმის მთელი ხნის განმავლობაში პირველად ისმება სახალხო განათლების საკითხი რესპუბლიკის ყველაზე მეტ ავტორიტეტულ კრების, საბჭოების მეათე ყრილობის დღის წესრიგში. ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და ყველაზე უფრო ის მუშები რომელთაც აქვთ რაიმე დამოკიდებულება სახალხო განათლების საქმესთან, უნდა ენერგიულათ მოემზადონ ამ კითხვის გასარჩევათ საბჭოების ყრილობაზე“—ასე სწერდა გაზეთი „პრავდა“ საბჭოების ყრილობის გახსნის რამოდენიმე დღის წინეთ.

სახალხო განათლების საკითხი სერიოზული მსჯელობის და შეფასების საგანი შეიქნა ამ უკანასკნელ ხანებში. პრესამაც თავის მხრივ არაჩვეულებრივი ადგილი დაუთმო მას.

ჩვენი ქვეყანა თუმცა ბევრათ უკეთეს პირობებშია, ვიდრე ფედერაციის სხვა მხარეები, მაგრამ საერთოდ აღებული სახალხო განათლება ყველგან არანორმალურ და თითქმის უნუგეშო მდგომარეობას განიცდის.

სახალხო განათლება, მასსის კულტურული შემეცნების დონის ამაღლება რევოლიუციის სასიცოცხლო კითხვათ უნდა ჩაითვალოს. წარმოების განვითარებასთან, ქვეყნის ეკონომიურ აღდგენასთან უნდა სწარმოებდეს კულტურული აღორძინებაც.

სოციალიზმის დამყარების ერთ საუკეთესო პირობათ უნდა მივიჩნიოთ რევოლიუციის მომავალი დასაყრდენობის ძალის, ახალგაზრდობის სათანადო აღზრდა-განვითარება. სავსებით სამართლიანათ შენიშნა ამხ. ლენინმა კომინტერნის მეოთხე კონგრესზე, რომ საბჭოთა ფედერაცია—ჩამორჩენილი ქვეყანაა, განათლება მასში მინიმალურია. არც ერთი „განათლებულბული“ ქვეყანა მას არ ეხმარება. პირიქით, ყველანი მის წინააღმდეგ მუშაობენ. ამიტომ საკუთარი ძალებით უნდა შევეცადოთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. სახალხო განათლება, კულტურულ ფრონტზე ბრძოლა მორიგ დამკვრელ ამოცანათ უნდა იქნას მიჩნეული. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების პირველ ხანებში გაუარესდა სახალხო განათლების საქმე. სამოქალაქო ომით მოშლილ სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანამ დაჩრდილა და უკანა რიგში მოაქცია სხვა დანარჩენი საკითხები. სამეურნეო ანგარიშიანობამ ძალზე შეამცირა სკოლების და ყველა კულტურული, ფართე მასსისთვის საჭირო დაწესებულებათა საერთო რიცხვი. ამრიგათ, დღეს სოციალური, პროფესიონალურ-ტეხნიკური და პირველ-დაწყებითი სწავლა ბევრათ ჩამორჩება სამოქალაქო ომის დროინდელ მდგომარეობას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფედერაციის იმ ნაწილებთან, რომლებმაც განიცადეს სამოქალაქო ომის სუსხი. საჭიროა ვიცოდეთ, რა იყო წინეთ და რა მდგომარეობას განიცდის დღეს პირველ-დაწყებითი განათლება. რუსეთში ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკების გამოკლებით, 1921 წლის ოქტომბერში ითვლებოდა—74.846 პირველი საფეხურის სკოლა, 166.496 მასწავლებლით და 5.661.824 მოსწავლით. 1922 წლის აპრილისთვის კი 66 910 სკოლა (ხსენებული ტიპის), 137.192 მასწავლებლით და 4 960.513 მოსწავლით. ამავე წლის პირველ ოქტომბრისთვის სოციალური აღზრდის დაწესებულებათა რიცხვი კიდევ რამოდენიმე პროცენტით შემცირდა. დღეისათვის „პრავდა“-ში მოთავსებულ ცნობის მიხედვით, მათი რიცხვი უნდა ვიანგარიშოთ 50—55 ათასი, 110—120 ათასი მასწავლებლით. ამგვარათ, პირველდაწყებითი სკოლების დღევანდელი რაოდენობა ჩამორჩება თვით 1911 წლისას (როდესაც მათი რიცხვი 62.874 აღწევდა) და სულ ბევრათ ჩამორჩება სამოქალაქო ომის დროინდელ რაოდენობას, რომელიც 76.097 განისაზღვრებოდა. სკოლების და მასწავლებელთა საერთო სიმცირეს ემატება თვით მასწავლებელთა ნაკლები უზრუნველყოფა. ამხ. იაკოვლევი კატასტროფიულათ სთვლის მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობას. მათი საცხოვრებელი მინიმუმი განათლების კომისარიატის მიერ განსაზღვრულ მინიმუმის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენს. ასეთ პირობებში სახალხო მასწავლებელი ვერ აღზრდის საბჭოთა რესპუბლიკის მოზარდ თაობას. ყველა ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ განათლების საქმე ნაწილობრივ არც იმდენათ საიმედო ხალხის ხელშია. განათლების ფრონტზე კომუნისტური ძალების უდიდესი სიმცირეა. ბიუჯეტის უმნიშვნელო პროცენტი დათმობილი აქვს სახალხო განათლებას. დღემდის არ სწარმოებს მცხოვრებთა საერთო დაინტერესება სკოლის უნუგეშო მდგომარეობის გამოსაკეთებლათ. ამ მოვლენას თითქოს ერთგვარი ხასიათი აქვს მთელ ფედერაციაში. გამონაკლის შეადგენენ მისი ის ნაწილები, რომელთაც მოუხდათ ცოტათ თუ ბევრათ მშვიდობიან პირობებში არსებობა და განვითარება. სადაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ქვეყნის ეკონომიური რესურსები არ ყოფილა სავსებით ამოწურული და მეურნეობის აღდგენა ისეთი სიმწვავით არ დასმულა, რომ მთელი ძალების და საშუალებათა აქეთკენ მიშურება მოეთხოვოს. ერთი სიტყვით, სახალხო განათლება ყველგან საფრთხეშია ასეთ მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. უნდა გამოყენებულ იქნას რაციონალურათ ყველა შესაძლებლობა, ამ კითხვის მოსაგვარებლად. მეათე ყრილობაზე ამ კითხვას ცენტრალური ადგილი უკავია. კულტურულ ფრონტზე მისაღწევ გამარჯვებათა პრაქტიკული ზომები მეათე ყრილობამ უნდა მოგვცეს. ისინი მოკლეთ შემდეგი უნდა იყოს: სახელმწიფომ სახალხო განათლების კითხვა პირველ-ხარისხოვან კითხვათ უნდა აღიაროს, ის დამკვრელ ამოცანათ უნდა იქნას მიჩნეული. სახალხო განათლებას უნდა დაეთმოს საგრძნობი პროცენტი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში.

მოსახლეობა, როგორც ქალაქის ისე სოფლის სახალხო-განათლების უმთავრეს მასაზრდოებლათ უნდა გამოვიდეს. სახალხო განათლებისთვის მოსახლეობის განსაკუთრებული დაბეგვრა, საზოგადოების შეძლებულ კლასებისთვის სისტემატიურ სასკოლო გადასახადის დაწესება და სწავლის ფულის შემოღება,—გამოიყვანს ყველაზე მეტათ პირველდაწყებით განათლებას უმწეო მდგომარეობიდან. პირველ დაწყებით სწავლის ნაყოფიერებისთვის, ახალი ცოდნით, მომზადებით და ახალი მიზნებით შეიარაღებულ სახალხო მასწავლებელთა გამრავლება, მათი მატერიალური და სულიერი [illegible] მოპოვება, სახალხო მასწავლებლის გადაქცევა ყურადღების ცენტრათ, კომუნისტურ ძალების მეტი ჩაბმა სახალხო განათლების საქმეში, საბჭოთა ყველა ადგილობრივ ორგანოების დაინტერესება; ყველა ეს ზომები დასძრავს სახალხო განათლების საქმეს გაყინულ წერტილიდან. საბჭოთა მეათე საკავშირო ყრილობის ავტორიტეტული სიტყვა დიდ გარდატეხას მოახდენს ამ საკითხში.

დ. ხ—ძე.

სამოქალაქო გადასახადს იხდის ყველა შრომის უნარიანი მცხოვრები.

ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე მსოფლიო კონგრესი

II

ბურჟუაზიული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციებისათვის დიდ საკითხს წარმოადგენს.

მესამე კონგრესზე განხილული იქნა საკითხი, **ანტიმილიტარისტული მუშაობის მეთოდების** შესახებ. ანტიმილიტარისტული პოლიტიკა თავიდანვე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ახალგაზრდათა რევოლიუციონურ მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებაში. ამიტომ მასზე მსჯელობდნენ ყველა საერთაშორისო კონგრესებზე და კონფერენციებზე: შტუტგარდის კონგრესზე 1907 წ., კოპენგაჰენის 1910 წ., ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე 1915 წ., ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის ბერლინის პირველ კონგრესზე 1919 წ., მოსკოვის მეორე კონგრესზე 1921 წ. ეს მოწმობს იმას რომ ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების ანტიმილიტარისტული პროგრამის საბოლოოთ შემუშავება იყო, რომ შემდეგში აუცილებელი არ გამხდარიყო მისი სათანადოთ შეცვლა. შეუძლებელი იყო.

მესამე კონგრესმა, განიხილა რა ანტიმილიტარისტული პროგრამა, უცვლელათ მიიღო შტუტგარდის კონგრესის დადგენილების მთავარი საფუძვლები: ახალგაზრდათა რევოლიუციონური ორგანიზაციები, აწარმოებენ რა ანტიმილიტარისტულ მუშაობას, მით იბრძვიან მუშათა კლასის კლასიურ მიზნის განხორციელებისათვის.

მესამე კონგრესმა უარყო ლიბერალურ ბურჟუაზიული და სოციალისტ-რეფორმისტული პაციფიზმი ანტიმილიტარიზმის შესახებ, რომლის მიღებაც მოასწავებდა ახალგაზრდა მუშების და გლეხების სრულ დამორჩილებას იმპერიალისტურ ჯარისადმი.

მან უარყო აგრეთვე ანარქო-სინდიკალისტური თეორია, რომელიც ანტიმილიტარისტულ პოლიტიკის წარმოების წყაროდ ღებულობს ინდივიდუალურ დეზერტირობის გავრცელებას იმპერიალისტურ ჯარში, ინდივიდუალურ უარის თქმას ჯარში გაწვევის დროს. ეს, ვერც ერთ შემთხვევაში,—ვერ მიაღწევდა მიზანს. რადგან, სანამ ბურჟუაზია გაბატონებულ კლასს წარმოადგენს, იმპერიალისტურ ჯარში წასვლაზე უარით გამოვიდოდა მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი ახალგაზრდობისა, უფრო გაბედული რევოლიუციონერები. პოლიტიკური უმრავლესობა ახალგაზრდობისა კი, ჯარში დარჩებოდა. ანტიმილიტარისტული მუშაობისათვის უმჯობესია, რაც მეტი შეგნებული რევოლიუციონური ელემენტები იქნებიან იმპერიალისტურ ჯარში, ისინი შესძლებენ აწარმოვონ აგიტაცია ჯარის კაცებში.

მეორე მხრივ, ინდივიდუალური დეზერტირობა ფსიხოლოგიურ გავლენას იქონიებდა ახალგაზრდობაზე და მით შეაფერხებდა თვით წითელი ჯარის შექმნის საქმესაც. მესამე კონგრესს, წინ ედო მდიდარი გამოცდილება რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველ მომენტში და მის შემდეგაც, პროლეტარიატს სჭირდება შეიარაღებული ძალა ამიტომ მიღებული იქნა, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების მოვალეობას წარმოადგენს, **აწარმოვონ მუშაობა იმპერიალისტური ჯარის დაპყრობისათვის**, რაც გაუადვილებს პროლეტარიატს ბურჟუაზიაზე გამარჯვებას. ანტიმილიტარისტული მუშაობა უნდა სწარმოებდეს შემდეგი მეთოდით: იმპერიალისტურ ჯარში, როგორც მეტროპოლიის, ისე კოლონიალურ ქვეყნების და ოკუპაციონურ ნაწილებში უნდა დაარსდეს არალეგალური იჩეიკები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ჯარში გაწვეული ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრები. მუშაობა იწარმოებს, კომკავშირის ადგილობრივ კომიტეტების ხელმძღვანელობით.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზია, რეგულ არულ ჯარის გვერდით ჰქმნის დაქირავებულ შეიარაღებულ ძალას, რომელზედაც მას სურს მეტი იმედით დაეყრდნოს პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით, ბურჟუაზიული მთავრობა სრულ თავისუფლებას აძლევს და მატერიალურათ უზრუნველყოფს კერძო რაზმების დაარსებას და განვითარებას, რომლებშიაც თავს უყრის ელემენტებს თავის კლასიდან, შემდეგ მდიდარ გლეხობიდან და ყველა ჯურის ავანტიურისტებისაგან. კერძო სამხედრო ორგანიზაციები დამახასიათებელია კაპიტალისტური წესწყობილების ღრმა სოციალ-პოლიტიკური კრიზისის. კაპიტალის ეკონომიურმა შეტევამ მუშათა კლასზე, დასაყრდენობი ჰპოვა პოლიტიკურ რეაქციაში.

ფაშიზმი იტალიაში, ოფიცერთა თეთრი ლეგიონები უნგრეთში, „ორგეში“ გერმანიაში და თეთრი ტერორის თავისუფლათ ფართეში ბალტიის მხარის სახელმწიფოებში ახალ ამოცანებს უყენებს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ანტიმილიტარისტულ პოლიტიკას. აქ შეუძლებელი არის მუშაობის წარმოება იმ მეთოდით, როგორადაც ადგილი აქვს რეგულიარულ ჯარში. მესამე კონგრესმა აუცილებლად სცნო შეიარაღებული წითელი რაზმების შექმნა მილიტარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ: შეიარაღებულ ბრძოლას უკარნახებს შექმნილი მდგომარეობა ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. წითელი რაზმების შექმნა წარმატებით მიმდინარეობს. ჯერ კიდევ მესამე კონგრესზე მიღებული იქნა ცნობა იტალიის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკასაგან, რომ მათი ინიციატივით მოეწყო ახალგაზრდა მუშათა წითელი რაზმები, რომელთა დანიშნულებაა ფაშიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა. ასეთი მებრძოლი ჯგუფები არსებობს გერმანიაშიც, რატენაუს მკვლელობის შემდეგ. **ამრიგათ ანტიმილიტარისტული მუშაობა ემყარება, ერთი მხრივ სისტემატიურ, რევოლიუციონურ მუშაობას თვით იმპერიალისტურ ჯარში, მეორე მხრივ შეიარაღებულ წითელ რაზმების შექმნაზე, ბურჟუაზიის კერძო სამხედრო ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.** მესამე ნაწილი ანტიმილიტარისტული პროგრამისა შეიცავს სიტყვიერ და წერითი აგიტაციის წარმოებას იმპერიალისტურ ჯარისკაცთა შორის.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი გამოდის რა სოციალისტ-რეფორმისტულ, წვრილ ბურჟუაზიულ პაციფიზმის უსაფუძვლობის თვალსაზრისიდან, აუცილებლათ სთვლის საერთო დეზორგანიზაციის შეტანას იმპერიალისტურ ჯარში, მის გადმობირებას პროლეტარიატის მხარეზე და მუშათა კლასის შეიარაღებას.

ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები წამოაყენებენ მოთხოვნილებებს: ვერსალის საზავო ხელშეკრულების გაუქმებისას, შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლისას; მუშათა კლასის ნამდვილ კონტროლის დაწესებას სამხედრო იარაღების წარმოებათა დარგებზე, ჯარისკაცთა მატერიალურ პირობების გაუმჯობესებას, მათთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას, ერების თავისუფლებას, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანიზაციის ნების დართვას.

აგიტაცია-პროპაგანდა, სისტემატიურ ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, გააძლიერებს იმპერიალისტური ჯარის რღვევის პროცესს და მით გამოუსადეგარს გახდის მას პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამნაირათ მესამე კონგრესზე მიღებულ ანტიმილიტარისტულ პროგრამის დედა-აზრს შეიცავს, წინასწარ მოხამზადებული მუშაობის წარმოება, რომ მოხალოდნელ იმპერიალისტურ ომის მომენტში, შესაძლებელი შეიქნას საყოველთაო გაფიცვიდან შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და იმპერიალისტურ ომის გადაქცევა სამოქალაქო ომათ.

საქ. ახ. კომკავშირის დელეგატი მესამე კონგრესზე.

კოტე გორდელაძე.

საბჭოთა მეათე ყრილობა

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 23 დეკემბერი. საბჭოთა ყრილობას 25 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. სოკოლნიკოვმა გააკეთა მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა შემდეგი:

ფინანსიური მდგომარეობა და მოსავალი.

„შარშანდელი წლის შიმშილობამ ძლიერ გავლენა მოახდინა მრეწველობის და მეურნეობის განვითარებაზე და ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობაზე. ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა უმთავრესად დამოკიდებულია მოსავალზე. შარშანდელი და მიმდინარე წლის კარგმა მოსავალმა სასურველი გავლენა მოახდინა ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობაზე, რაც განსაკუთრებული სიცხადით დაეტყო 1922 წლის მეორე ნახევარს. შარშანდელი ცდა მტკიცე ბიუჯეტის შექმნისა უშედეგოთ დამთავრდა. იძულებული ვიყავით შემოგვეღო ბიუჯეტის მეოთხედები, კვადრანტული ბიუჯეტი. ამ სისტემას ჩვენ მოვაგვარებთ 1923 წელშიაც, და მხოლოდ შემდეგ წელში შევეცდებით მტკიცე ბიუჯეტზე გადასვლას. ბიუჯეტის საკითხში ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ მომჭირნეობას და სახელმწიფო აპარატის შემცირებას. სამოქალაქო ომის ხანაში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე იყო 35 მილიონი კაცი. 1922 წ. დასაწყისში სახელმწ. მომარაგებაზე დარჩა მხოლოდ 6 მილიონი კაცი. ეხლა კი ეს ციფრი შემცირდა 2 800.0000 კაცამდე. 6 კვირის განმავლობაში ჩვენ ვფიქრობთ შევამციროთ ეს ციფრი 2,500,000 კაცამდე. ამას კი შედეგად მოჰყვება სახელმწიფოს ხარჯების შემცირება. ბიუჯეტის შემცირების მნიშვნელოვან ზომათ ითვლება აგრეთვე ადგილობრივ ხარჯების ადგილობრივ საშუალებით დაფარვა.

ემისია და გადასახადები.

ჩვენი სახელმწიფოს შემოსავლის უმთავრეს წყაროდ ითვლება ემისია და გადასახადები. ემისიის როლი სახელმწიფოს ბიუჯეტში, თანდათან მცირდება, გადასახადებს კი მეტი მნიშვნელობა ეძლევა 1922 წლის იანვარში სახელმწიფო ემისია უდრიდა 39 ნახ. მილ. მანეთს ოქროს ფულით—ე. ი. შემოსავლის 99 პროც.-ს. გადასახადებმა მოგვცა სულ ნახევარი მილიონი ოქროს მანეთი—1 პროც. დეკემბერში ემისიამ მოგვცა 458 ტრილიონი მანეთი საბჭოთა ვალის ნიშნებით, ასეთივე თანხა მოგვცა გადასახადებმაც. სახელმწიფოებრივი გადასახადები იანვრიდან სექტემბრამდე უდრიდა სულ 26.500.000 ოქრ. მანეთს, ხოლო ადგილობრივ გადასახადებთან ერთად 35 მილ. მანეთს. თვითეულ მცხოვრებზე გადასახადი უდრის 23 კაპეიკს, რაც 20 ჯერ ნაკლებია ომამდე არსებულ გადასახადისა. სახელმწიფოებრივი მრეწველობამ 9 თვის განმავლობაში გადასახადების სახით მოგვცა 8 მილ. ოქროს მანეთი—ეს ციფრი არ არის ძალიან დიდი ომამდე არსებულთან შედარებით. 1922 წლის იანვარში შეკრებილია გადასახადების სახით 475.000 ოქროს მანეთი, სექტემბერში—9 მილ. მან., დეკემბერში—12 მილ. მან. გადასახადების შესახებ თითქმის 30-ჯერ გაიზარდა, საბოლოო ანგარიშიდან ვხედავთ, რომ ემისია ფარავს სახელმწიფოს ბიუჯეტის 22—30 პროც.-ს. მაგრამ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა მაინც მძიმეა. მომავალში უნდა ვეცადოთ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალში წონასწორობის დამყარებას და ემისიის შემცირებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი მეფის დროს და ეხლა.

საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი 3 ნახევარჯერ ნაკლებია ომამდე არსებულ მეფის ბიუჯეტთან შედარებით, რომელიც უდრიდა 2,600,000,000 მანეთს. ჩვენი ბიუჯეტი 1923 წელში მიაღწევს 1,100,000,000 მანეთამდე. თავიდან არის აცილებული მთელი რიგი ხარჯებისა, რომელიც მეფის მთავრობას ქონდა: ჩვენ აღარ ვიხდით 400,000,000 მილ. ოქროს მანეთს უცხოეთში ადებულ სესხის პროცენტების სახით, არმიაზე ჩვენ ვხარჯავთ 600 მილ. ნაკლებს, ჩვენ არა გვაქვს ხარჯები მეფის ოჯახის და სასულიერო უწყების შესანახად, რაც უდრიდა 100 მილ. ოქრ. მანეთს. საერთო ეკონომია ამ დარგში უდრის 1,100,000.000 მ.

მაგრამ თუ გვსურს მივაღწიოთ ომამდე არსებულ სამეურნეო ბრუნვას, ჩვენ უნდა გავადიდოთ ბიუჯეტი 2-ჯერ მეტად“.

დასკვნა.

დასკვნაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბრძოლა ფინანსიურ გაჯანსაღებისათვის, უნდა იქნეს წარმოებული სრული ენერგიით და ჩვენ გვექნება გამარჯვების იმედი.

საჭიროა მოისპოს პარალელიზმი ორ დამოუკიდებელ უწყებების—ფინანსთა სახ. კომისარიატის და სასურსათო სახ. კომისარიატის მიერ გადასახადების შეკრება. შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლა არის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით! საბჭოთა ფინანსების მოწესრიგება უნდა მოხდეს იმავე ენტუზიაზმით და იმავე სიმტკიცით, რომლითაც თავის დროზე სწარმოებდა წითელი არმიის შედგენა.

საქართველოს საგანგებო კომისიისაგან

საქართველოს საგანგებო კომისია, რომელიც სდგას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სადარაჯოზე და ფხიზლათ ადევნებს თვალყურს საქართველოს მშრომელ მასსების მტრების მოქმედებას, არა ერთხელ აფრთხილებდა და მოუწოდებდა მშვიდობიან ცხოვრებისაკენ იმ პირთ, რომელნიც ვერაგულად, ბნელურად ხოცავდნენ და ძარცვავდნენ მრავალ ათეულ მშვიდობიან მცხოვრებთ და სრული პატიებაც კი მიანიჭა მათ ყველა წარსულ ბოროტ-მოქმედებისათვის, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ დათმობათა და შებრალებისა, რომელსაც იჩენდა მთავრობა, ისინი, რევოლიუციის გამოუსწორებელი პარაზიტები, მაინც განაგრძობენ თავიანთ ვერაგულ საქმეს და შიშის ზარს სცემენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. საქართველოს საგანგებო კომისიის 1922 წ 30 ნოემბრის, 2, 3 და 6 დეკემბრის სხდომაზე სიკვდილით დასჯა მიესაჯათ და **დახვრეტილ** იქნენ შემდეგი პირები:

1. **ტერ-რუბინიანი** (იგივე ტერ-გრიგორიანი: გაბრიელ რუბენის ძე, 31 წლისა, პედაგოგი, ჟურნალისტი, სომხეთის სახალხო პარტიის წევრი, ბოროტ განზრახვით **ჯაშუშობისათვის** ინგლის-საფრანგეთის კონტრ-დაზვერვის სასარგებლოთ, რომელიც გამოიხატა როგორც პოლიტიკურ, ისე წმინდა სამხედრო ცნობების რამდენჯერმე მიწოდებაში.

2. **გავრილენკო ნიკოლოზ** მიხეილის ძე, სისხლის სამართლის ძიების უფროსის ყოფილი თანაშემწე, ბოროტ განზრახვით შეთქმულების მოწყობისათვის, რომელიც არა ერთხელ იღებდა მონაწილეობას თავდასხმებსა და ძარცვაში და სარგებლობდა რა თავის თანამდებობით ფარავდა და ყოველ გვარ დახმარებას უწევდა ბანდიტებს.

3. **გორელაშვილი** ზაქარია ალექსის ძე, 33 წლისა, ვაჭარი.

4. **მოწყემლიძე** დავით იოსების ძე, 29 წლისა, აზნაური.

პირველი—ბანდიტების დაფარვისა და მათთან მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის, ასრულებდა რა ყოველ გვარ მათ დავალებას, მეორე—მრავალჯერ მშვიდობიან გლეხებზე თავდასხმისა და მათი გაძარცვისათვის და როგორც ბანდიტ-პროფესიონალი.

5. **ოვანოვ** სედრაკი პავლეს ძე, **ჯაშუშობისათვის**, რომელიც გამოიხატა ცნობების მიწოდებაში და სტამბოლში რამდენჯერმე გამგზავრებაში ცნობების გადასაცემათ და ინგლის-საფრანგეთის კონტრ-დაზვერვასთან კავშირის დაჭერისათვის.

6. **ბიგაშვილი** აბრამ ილიას ძე, 26 წლისა, მილიციონერი, სადგურ მეხაანსა და სიღნაღს შორის მიმავალ გლეხებზე თავდასხმისა და მათთვის 90 მილიონი მანეთის წართმევისათვის და სიღნაღის პოლიტ-ბიუროს უფროსზე მკვლელობის მიზნით თავდასხმისათვის.

7. **ანდრონიკაშვილი** სოლომონ სოლომონის ძე, 29 წლისა, აზნაური, ყოფილი აფიცერი.

8. **ხუმბათაშვილი** ალექსანდრე, 21 წლისა, აზნაური, ყოფილი აფიცერი.

9. **ვაჩნაძე** დავით სოლომონის ძე, 24 წლისა, აფიცერი, თავადი, ყველა სამივე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდასთან მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის, არა ერთხელ აწვდიდნენ რა უკანასკნელს ტანისამოსს და სხვა სურსათ სანოვაგეს.

10. **გრომოვი** ანდრია ნიკოლოზის ძე, 18 წლისა, როგორც ქურდი—რეციდივისტი, პროფესიონალი, რომელიც არა ერთხელ იყო მიცემული სისხლის სამართლის ძიების და საქართველოს რევტრიბუნალის რეგისტრაციაში, სხვისი დოკუმენტების მითვისებისათვის და როგორც გამოუსწორებელი და მავნე ელემენტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

11. **ცქვაშვილი** ვიქტორ იოსების ძე, 19 წლისა.

12. **ოჩმიცაძე** გრიგოლ კონსტანტინეს ძე, 19 წლისა, შოფერი.

13. **ახვლედიანი** ვალიკო დესიმონის ძე, 26 წლისა.

ამერიკულ კომიტეტის გაძარცვის ორგანიზაციისათვის; არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა მშვიდობიან გლეხების გაძარცვაში, როგორც პროფესიონალები და გამოუსწორებელი ბანდიტები.

14. **ნაზიმ მოვლუდ ოღლი**, (ცნობილი გამოუსწორებელი ბანდიტი, ახალციხის მაზრის მილიციის უფროსის ამხ. მახაურაძის და ძმ. ჯაფარიძეების მკვლელობის მთავარი მონაწილე (განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში ახალციხეში საქართველოს საგანგებო კომისიის სანქციით).

15. **უჩაფულაშვილი** იოსებ გიორგის ძე, 19 წლისა, მილიციონერი.

16. **გრიშიკაშვილი** ალექსი თედორეს ძე, 20 წლისა, მილიციონერი.

თელავის მაზრის პოლიტ-ბიუროს პატიმართა სახლიდან ბანდიტების გაქცევის მოწყობისათვის, ეჭირათ რა თანამდებობა, შეგნებულად უწყობდნენ ხელს მაზრაში ბანდიტიზმის განვითარებას (განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში თელავშივე საქართველოს საგანგებო კომისიის სანქციით).

17. **ხარებაშვილი** ალექსანდრე იორდანეს ძე, 18 წლისა.

18. **ყუყუჩაშვილი** ქარუმ ისაკის ძე, 24 წლისა.

19. **კოპლამაზაშვილი** ალექსი ციცის ძე—მშვიდობიან გლეხებზე არა ერთხელ შეიარაღებული თავდასხმისა და ქარელის რაიონის მილიციის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისათვის. (განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი ქ. თელავში საქ. საგ. კომისიის სანქციით).

20. **გალუსტოვი** გარეგინი სარქისის ძე, 18 წლისა.

21. **ზიზილაშვილი** გიორგი ალექსანდრეს ძე, 24 წლისა.

22. **ბაიანოვი** ვასილი კონსტანტინეს ძე, 19 წლისა.

გლეხის ვასილ შულაკაშვილის გაძარცვისათვის, ქონდათ აგრეთვე კავშირი ცნობილ ბანდიტ მიხეილ აჯიმურადოვთან (დადიანის ბიჭი), როგორც გამოუსწორებელი ბანდიტები—პროფესიონალები. (განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა ქ. თელავში საქ. საგ. კომისიის სანქციით).

23. **გორაძე** სულეიმან სალიხის ძე, მკვლელობისათვის, მრავალჯერ თავდასხმისა და გაძარცვისთვის და როგორც მრავალ სხვა ბოროტ-მოქმედებათა ჩამდენი, გამოუსწორებელი ბანდიტი და მავნე ელემენტი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის.

საგანგებო კომისია ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იგი მომავალშიაც დაუზოგავად იბრძოლებს ბანდიტების, ჯაშუშების და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მავნე ელემენტების, ყოფილ თავადების და აზნაურების და მათი დამქაშების წინააღმდეგ, რომელნიც აქამდის ვერ შერიგებიან არსებულ პროლეტარულ წესწყობილებას, რომელნიც დაჩვეულნი არიან უდარდელ ცხოვრებას მუშების და გლეხების ხარჯზე, რომელნიც ხედავენ რა რომ უკანასკნელებს იცავს პროლეტარული სახელმწიფო, შეუდგენ [illegible], ხოცავენ და ძარცვავენ მშვიდობიან გლეხებს და ხელს უწყობენ ცნობილ ბანდიტს ჩოლოყაშვილს.

საქ. საგანგებო კომისიის კოლეგია.

მოქალაქენო! 26 დეკემბრიდან დაიწყო სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.

ყველა ჭეშმარიტ მოქალაქის მოვალეობაა დაეხმაროს ქალაქის ელექტროფიკაციის საქმეს.

სამოქალაქო გადასახადი შემწეობას მისცემს ქალაქს—ჩაუყაროს საძირკველი ჰიდრო-ელექტრიულ სადგურს

რადიო-დეპეშები

ამხ. ლიტვინოვის ნოტა

მოსკოვი. 26 დეკემბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ თანახმად რუსეთის მთავრობის მიერ მიღებულ ცნობებისა ელჩების კონფერენციამ პარიზში განზრახვა აქვს მოაწესრიგოს მემელის ტერიტორიის საკითხი. რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკა და ბელორუსია, რომელნიც ფრიად დაინტერესებულნი არიან ამ საკითხის მოწესრიგებაში, მოითხოვენ მათი წარმომადგენლის დაშვებას მემელის საკითხის განხილვაზე და გადაწყვეტაზე. რუს. ს. ფ. ს. რ. და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით ამხ. ლიტვინოვი აცხადებს, რომ აღნიშნული სახელმწიფოთათვის არც ერთი დადგენილება, მიღებული მათ მონაწილეობის გარეშე და მიმართული მათი ინტერესების წინააღმდეგ, არ იქნება მათთვის სავალდებულო.

ამხ. ტროცკის ბრძანება

მოსკოვი. 26 დეკემბ. რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ტროცკი, სხვათა შორის ნათქვამია: „წითელი არმიის ძალა და მისი უდიდესი განსხვავება ბურჟუაზიული არმიებისაგან მდგომარეობს მორალურ და ამხანაგურ შეკავშირება შეუღლებაში, რაც გამომდინარეობს საერთო დიადი რევოლუციონური მიზნებისაგან. კომანდირი არის უფროსი უფრო გამოცდილი ამხანაგი, ნაწილების ხელმძღვანელი კი ავტორიტეტული მოთავე და აღმზრდელი. უხეშ მოპყრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელ არმიაში. ჯარის-კაცთა ლოთობისათვის პასუხს აგებს კომისარი და კომანდირი. ხელით შეხების შემთხვევები სასტიკად უნდა იქნას აღმოფხვრილი.

რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს კომისიამ 33 სროლელ დივიზიაში აღმოაჩინა მეტად არა სასურველი გასაკიცხავი მოვლენა. მე-99-ე პოლკში პარტიულ სკოლაში ადგილი ჰქონდა საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობის ორგანიზაციულ ლოთობას. 98 პოლკში უმაღლესი საკომანდო შემადგენლობამ ყურადღება არ მიაქცია პოლიტ-მუშაკების და კომანდირების სიმთვრალეს ოქტომბრის რევოლუციის წლისათვის საზეიმო სხდომაზე. ადგილი ჰქონდა წითელ არმიელებისადმი უხეშ მოპყრობას. 98 პოლკის კომანდირი და კომისარი წითელი არმიის სახელის გატეხისათვის გადაყენებულნი არიან თანამდებობიდან და გადაეცემიან შტაბის განკარგულებაში. სამართალში იქნებიან მიცემული კომანდირები, რომელთაც უხეში მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენეს ჯარისკაცის პიროვნებას.

ლოზანის კონფერენცია

ოსმალეთის წინააღმდეგობა.

ლონდონი. 23 დეკემბერი. გაზეთების ცნობით, ეროვნულ უმცირესობათა საკითხის განსახილველ ქვეკომისიაში იხილებოდა საკითხი ქრისტიანების ოსმალეთის ჯარის სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ. მოკავშირეების მიერ ამ განთავისუფლების საკითხის დასაცავად წამოყენებული საბუთები ოსმალეთის დელეგაციამ სრულებით არ მიიღო.

ანგორა. 24 დეკემბერი. „ენი გიუნ"-ის დღევანდელი მოწინავე წერილი ეხება ეროვნულ უმცირესობათა საკითხს და ამტკიცებს, რომ ეროვნული უმცირესობანი ოსმალეთში სარგებლობენ საკმაო უფლებებით და საკითხი ამის შესახებ განზრახ შექმნა დასავლეთ ევროპის დიპლომატიამ. გაზეთი სწერს, რომ ანატოლიაში ბერძნების კატასტროფაზე დამნაშავე ინგლისია და რომ ოსმალეთს არ შეუძლია გულგრილად შეხედოს ომის დროს ევროპის მიერ მოწყობილ მთელ რიგ აჯანყებებს. გაზეთის აზრით, თავის არ შეუძლია იმის გარანტიის მიცემა, რომ თითქოს ბერძნები აღარ გაიმეორებენ ხოცვა-ჟლეტებს. წერილი დასასრულს მოუწოდებს სახელმწიფოებს, [illegible] ოსმალეთს ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებას.

ოსმალეთის დელეგაციის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ბალკანეთის და ოსმალეთის ყველა მეზობელ სახელმწიფოებში მცხოვრებ მუსლიმანურ უმცირესობაზე ოსმალეთის კონტროლის აღდგენა. მოკავშირეებმა უარყვეს ეს მოთხოვნილება.

უთანხმოება გრძელდება.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. მოკავშირეთა და ოსმალეთის შორის სრუტეებზე კონტროლის დაწესების საკითხის შესახებ და აგრეთვე განიარაღებულ ზონების, შერეულ სასამართლოების და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შესახებ უთანხმოება გრძელდება. მოკავშირეების მიერ სტამბოლის ევაკუაციის საკითხი ჯერ-ჯერობით სრულებით არ განხილულა. ვინაიდან ამ საკითხების შესახებ ოსმალეთის და მოკავშირეთა თვალსაზრისი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, მოლაპარაკების წარმოება თანდათან ძნელდება.

„მატენი" სწერს, რომ კონფერენცია გაჩერდა მკვდარ წერტილზე. კონფერენციის მუშაობა მოსდუნდა, განხეთქილება აუცილებელია, თუ ანგორის მთავრობა არ შესცვლის ოსმალეთის დელეგაციისათვის ინსტრუქციებს.

ტარდიე—გაზეთ „ეკო ნაციონალში" ლოზანას კონფერენციას უწოდებს „კომიკურ ოპერის დეკორაციას" და აღნიშნავს, რომ მიღებულ დადგენილებათა უმრავლესობას არ აქვს არავითარი რეალური მნიშვნელობა.

პრესა ლოზანას კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. „მანჩესტერ გარდიენი" ლოზანას შეთანხმების შესახებ სწერს. არავითარი შეთანხმება არ იქნება ხანგრძლივი, თუ რუსეთი ჩასთვლის მას მიმართულად თავის ინტერესების წინააღმდეგ. გაზეთებს ინგლისს რუსეთის დამოკიდებულების საკითხი ინგლის ოსმალეთის ურთიერთობის საკითხზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და ისინი გამოსთქვამენ შიშს ამ დამოკიდებულების მომავალის შესახებ.

„ტანი" სასტიკად გმობს ლოზანას კონფერენციაზე კერზონის პოზიციას რუსეთის მიმართ. „ეს პოზიცია, სწერს გაზეთი, აკისრებს კერზონს დიდ პასუხისმგებლობას. ინგლისის პოზიცია შეურაცხყოფს რუსეთის თავმოყვარეობას და ამტკიცებს მის ეროვნულ მისწრაფებებს".

ახლო აღმოსავლეთში

ინტერვიუ ფევზი-ბეისთან.

ანგორა. 24 დეკემბ. საზოგადოებრივ მუშაობის კომისარმა ფევზი-ბეიმ აცნობა პრესას შემდეგი: „განზრახულია რკინის გზის შემდეგ ძირითად ხაზების გაყვანა; 1) სამსუნ-სივაში-ხარპუთ-არგანა-მადენ-დიარბექირ-ბიტლის-ვანის ტბა მოსულ-კერიანაკ-სულეიმანის შტოებით; 2) ანგორა სივაშ ერზერუმის; 3) უმურტალიკ (ალექსანდრეტტის მახლობლად) ხარპუთის. შემდეგ განზრახულია აგრეთვე რკინის გზის ხაზის გაყვანა ერზერუმიდან შავ ზღვამდე. ანგორა არავითარ გარანტიებს არ მისცემს კონცესიონერებს. მათ უფლება ექნებათ დაამუშაონ ყოველივე სიმდიდრე ამ ხაზის ორთავე მხრიდან 40 კილომეტრის მანძილზე; თუ გადაიხდიან სათანადო გადასახადს. მოლაპარაკება დამთავრდება დაახლოებით 10 დღის შემდეგ. ქსელის გაყვანა შეიძლება დამთავრებულ იქნეს 15 წლის შემდეგ თუ ვიანგარიშებთ წლიურად 200 კილომეტრს." შემდეგ ფევზი-ბეიმ აღნიშნა, რომ სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა ანგორისა და სტამბოლის შორის რკინის გზის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ფევზი-ბეიმ განაცხადა, რომ ახლო მომავალში ყოველდღიურად გაიგზავნება მატარებლები სტამბოლისაკენ და მიღებულია ზომები სად. კარაკის მახლობლად ხიდის სასწრაფოდ აღდგენისათვის.

მდგომარეობა იტალიაში

ფაშისტები.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. ნეაპოლში, ფაშისტებმა გაანადგურეს ანტიფაშისტური გაზეთის „[illegible]" რედაქცია.

რომი. 26 დეკემბერი. იტალიის კაბინეტმა დანიშნა რკინის გზათა ახალი უმაღლესი კომისარი, რომელსაც განზრახვა აქვს შეამციროს შტატები და დაამყაროს წესრიგი რკინის გზებზე.

გერმანიის ამბები

გერმანიის კომუნისტების შორის.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. კომუნისტების მიერ მოწვეულმა ბერლინის პარტიულ მუშაკების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 2.000 კაცი, ერთხმად მხარი დაუჭირა კომინტერნის მეოთხე კონგრესის ყველა დადგენილებებს.

გერმანიის რკინის გზელთა შორის.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირების მიზნით, გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს მოახდინოს რკინის გზის მოსამსახურეთა ძალზე შემცირება. ამის გამო რკინის გზელებს ღელვარება ეტყობათ, რამაც შეიძლება აშკარა ხასიათი მიიღოს.

ანტანტა და გერმანია

რეპარაციის პრობლემა.

მოსკოვი. 26 დეკემბ. რეპარაციის პრობლემის განხილვის დროს საფრანგეთის სენატში პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთი სწუხს გერმანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო. გერმანიის მთავრობა ჯიუტობს თავისი მძიმე ინდუსტრიის მაგნატებისა, რომლებიც გამდიდრდნენ ხალხის ხარჯზე". პუანკარე ეჭვიანობს, რომ გერმანიამ შეიძლება მორატორიუმის გამოყენება ფინანსების გასაჯანსაღებლად და ამიტომ ხედავს გერმანიის ფინანსებზე კონტროლის დაარსების აუცილებლობას. პუანკარეს სიტყვებით, საფრანგეთს არ სურდა გერმანიის განადგურება, მაგრამ ის არ დაუშვებს აგრეთვე თავის განადგურებასაც.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. „მანჩესტერ გარდიენის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მოკავშირეებმა გამოიმუშავეს შეთანხმების შემდეგი პროექტი, რომელსაც წარუდგენენ გერმანიას 2 იანვარს: გერმანიას ეძლევა ორწლიანი მორატორიუმი, დაარსებული უნდა იქნეს მოკავშირეთა ფინანსიური კონტროლი, გერმანიის მთავრობა ვალდებულია გაატაროს ფინანსიური რეფორმები თანახმად მოკავშირეთა ექსპერტების ჩვენებისა, გერმანიაში გამოცემული უნდა იქნეს შინაური ძალდატანებითი სესხი მარკის კურსის სტაბილიზაციის მიზნით, გერმანია ვალდებულია დათანხმდეს სახელმწიფო ქონებათა, მაღაროების, ტყეების და [illegible] კონფისკაციაზე იმ ოლქებში, რომელთა ოკუპაციაც უნდა მოხდეს. ყოველივე ამის ნაცვლად საფრანგეთი აღარ ახდენს რურის ოლქის ოკუპაციას.

პოლონეთში

მოსკოვი, 26 დეკემბერი. პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოშვებული ფურცელი „კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლისაკენ" მოუწოდებს პროლეტარიატს რათა შექმნას ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიულ რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ახალი მთავრობა, ნათქვამია ფურცელში, წარმოადგენს მუშებისადმი მტრულად განწყობილ ძველი მთავრობის გაგრძელებას".

სხვადასხვა ამბები

მაროკოში.

ლონდონი. 26 დეკემბერი. ისპანეთის მთავრობამ დაადგინა გაამაგროს ისპანეთის ზონა მაროკოში.

ჩეხო სლავიაში.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. ჩეხელი სოციალ დემოკრატებმა უარყვეს ჩეხო-სლავიის კომპარტიის წინადადება უმუშევრობის წინააღმდეგ შეთანხმებული ბრძოლის შესახებ.

მღელვარება სტუდენტებს შორის ბელგიაში.

ლონდონი. 26 დეკემბერი. გენტის უნივერსიტეტის ფლამანიზაციამ გამოიწვია სტუდენტების შორის მღელვარება გენტში, ლიეჟში, ლუვენში. ფლამანდის დეპუტატებს, რომლებმაც ხმა მისცეს უნივერსიტეტის ფლამანიზაციას, იცავს მილიცია.

ინგლისის ფრთების ქვეშ.

ლონდონი. 26 დეკემბერი. საბერძნეთიდან გაძევებული პრინცი ანდრეი ცოლით და ბოვშვებით ჩავიდა ლონდონში.

გაფიცვები შვეციაში

მოსკოვი. 26 დეკემბერი. შვეციის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში გაფიცულია სატყეო წარმოებათა მუშები. გაფიცვაში, რომელიც ექვსი კვირაა რაც გრძელდება, ღებულობს მონაწილეობას 20.000 მუშა. გაფიცულები ცდილობენ შეინარჩუნონ სამუშაო ხელფასის დღევანდელი რაოდენობა, წინააღმდეგ მწარმოებელთა მოთხოვნილებისა, რაც გამოიხატება ხელფასის სამ კრონამდე დაყვანაში. გაფიცვების გამო შვეციის სატყეო ნაწარმოებთა ექსპორტი სანახევროდ შემცირდა.

„დიდი უნგრეთი"

მოსკოვი. 26 დეკემბერი. უნგრეთში ძლიერდება აგიტაცია „დიდი უნგრეთის" აღდგენის სასარგებლოთ. მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიდაც მოუწოდებენ მცხოვრებთ მიბაძონ ოსმალეთის მაგალითს და მოითხოვონ წინანდელ საზღვრების აღდგენა.

უმუშევრობა შვეციაში.

მოსკოვი. 26 დეკ. ოქტომბრის დასაწყისში შვეციაში ირიცხებოდა 43,500 უმუშევარი. ნოემბერში უმუშევართა რიცხვმა იმატა 6,000.

ინდოეთში.

მოსკოვი. 26 დეკ. კალკუტიდან იტყობინებიან, რომ ბრიტანეთის 16 ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა ინდოეთის საზღვარზე არსებულ ვაზირების სოფელს. მრავალია მოკლული და დაჭრილი, განადგურებულია აგრეთვე ბევრი საქონელი.

კომუნისტების დევნა.

მოსკოვი. 26 დეკ. საოკუპაციო ხელისუფლებამ ერთი კვირით დახურა დიუსელდორფის კომუნისტური გაზეთი „ფრეიხეიტ", რომელმაც მისასალმებელი წერილი უძღვნა საფრანგეთის წითელ პროფკავშირებს ლიუდვიგსჰაფენის გაფიცულ მუშებისათვის ორი მილიონი ფრანკის შეწირულების გამო.

საფრანგეთის კომუნისტების შორის.

მოსკოვი. 27 დეკ. საფრანგეთის კომუნისტების პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიემხრო კომინტერნის მეოთხე კონგრესის ყველა დადგენილებებს და მოსთხოვა პარტიის ყველა წევრებს იმოქმედონ კომინტერნის დირექტივების თანახმად.

პარიზის ოლქის ორგანიზაციებმა კომინტერნის კონგრესის ყველა დადგენილებები სცნეს სწორად.

კაშენი სწერს, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის მდგომარეობა უფრო მტკიცდება.

იაპონია და ციმბირი.

მოსკოვი. 26 დეკ. ცენტრალური იაპონიის ვაჭარ-მრეწველებმა დაადგინეს მოაწყონ ციმბირთან სავაჭრო საზოგადოება 100 მილიონი იენ ძირითადი თანხით. იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების ორგანიზაციაში.

იაპონიის პირატები.

მოსკოვი, 26 დეკემბერი. „პრიმორიის" ადმინისტრაციამ შეიპყრო იაპონიის მეკობრე [illegible], რომელმაც განაცხადა, რომ ის მოქმედებდა იაპონიის სამხედრო მინისტრის და პოლიციის დეპარტამენტის უფროსის დავალებით. უკანასკნელნი უარყოფენ თავიანთ კავშირს [illegible]. მაგრამ იაპონიის გაზეთი „კოკუ ხინი" საბუთებით ამტკიცებს, რომ იაპონიის სამხედრო უწყება მონაწილეობას იღებდა [illegible] და ციმბირისთვის იარაღის მიწოდებაში.

ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი, 26 დეკემბერი. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირთა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება კაპიტალის წინააღმდეგ ერთიანი პროლეტარული ფრონტის აუცილებლობის შესახებ.

ფაშისტები სამხრეთ-სლავიაში.

მოსკოვი, 26 დეკემბერი. ზაგრების [illegible] სტუდენტებმა გადაწყვიტეს ფაშისტური ორგანიზაციის დაარსება.

ნორვეგიის კომპარტიაში.

მოსკოვი, 26 დეკემბერი. ქრისტიანიის საქალაქო საბჭოს არჩევნების დროს კომუნისტებმა გაიყვანეს 7 კანდიდატი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე
მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს საყურადღებოთ

იმ ანგარიშვალდებულ პირთა და დაწესებულებათ, რომლებზედაც ითვლება გაუმართლებელი ავანსები და ვალები,

აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

საქ. დამშ. დამხმარე მთავარი კომიტეტი.

23 დეკემბერი, 1922 წ. ქ. ტფილისი.

ტფილისის ელექტროფიკაცია—დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

საუბარი ამხ. მუსაბეკოვთან

მოსკოვი. 26 დეკ. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ მოსკოვში „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „აზერბეიჯანი, რომელიც არის საბჭოთა ფედერაციის ნაწილი, უნდა შეიქნეს [illegible] კომუნისტური იდეების გამტარებლად ახლო აღმოსავლეთში. ის არის მუსულმანური საბჭოთა რესპუბლიკა და მდებარეობს დანარჩენ აღმოსავლეთის ერების სპარსეთის, ოსმალეთის და სხვა საზღვრებზე. აზერბეიჯანი ცდილობს გახდეს სამაგალითო საბჭოთა რესპუბლიკა რათა მისი მიხედვით, აღმოსავლეთის სხვა ერებმაც მოისურვონ ბურჟუაზიული მონობის ბორკილის დამსხვრევა და საბჭოთა ფედერაციის საერთო ოჯახში შესვლა. პასუხისმგებელ საბჭოთა მუშაკების აზრით აზერბეიჯანი გახდა სამაგალითო რესპუბლიკა. სასურსათო გადასახადი აკრეფილია 200 პროც.-ის რაოდენობით ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, არსებობს მშვენივრად მოწყობილი ადმინისტრატიული აპარატი, სრულიად მოსპობილია ბანდიტიზმი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახელმწიფო სამსახური.

მოსკოვი 26 დეკემბ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აღკრძალულია სახელმწიფოს ერთსა და იმავე დაწესებულებაში ან წარმოებაში ორი ახლო ნათესავის სამსახური, თუ მათ შორის არსებობს ერთი მეორისადმი დაქვემდებარება და კონტროლი.

სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს ეკრძალებათ პირადი ან დანიშნული პირების საშუალებით მონაწილეობის მიღება კერძო სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში, მოიჯარადრის და საქონლის მიმწოდებლის როლის შესრულება, შესვლა სავაჭრო დამოკიდებულებაში სახელმწიფო დაწესებულებებთან და წარმოებებთან, ან და გამოვიდნენ მესამე პირთა რწმუნებულად იმ დაწესებულებათა საქმეებში, რომლებშიდაც თვითონვე ითვლებიან მოსამსახურეებად. აკრძალულია თანამდებობათა გაცვლა გამოცვლა იმ დაწესებულებებში, რომლებიც [illegible] ადმინისტრატიულ-სამეურნეო ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. თანამდებობათა გაცვლა გამოცვლა დასაშვებია მილიციის სისხლის სამართლის ძიების, რ. კ. პარტიის, საგარეო და სასამართლო სადა-

---

ამხ. ზინოვიევის სიტყვა კომინტერნის კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე

წინანდელ კონგრესების გადაწყვეტილებათა კონკრეტიზაცია.

ამხანაგებო, ჩვენი მეოთხე კონგრესი წარმოადგენდა საკითხების ხაზგასმით და მის კონკრეტიზაციის, შესწავლის და დიფერენციაციის კონგრესს. ჩვენ არ გვესაჭიროებოდა ახალი განსაკუთრებული ამოცანების ჩამოყალიბება. ჩვენს წინაშე იდგა სხვა ამოცანა, რომელიც მე უკვე მოკლედ დავახასიათე, სახელდობრ კონკრეტიზაცია, განმარტება და დიფერენციაცია იმ დადგენილებების, რომლებიც ჩვენ მივიღეთ პირველ სამ კონგრესზე და განსაკუთრებით მესამეზე. ჩვენმა კონგრესმა, ჩემის აზრით, ბრწყინვალედ გადასჭრა ეს ამოცანა.

პირველად ჩვენ შევადგინეთ ნამდვილ მსოფლიო საერთაშორისო პარტიის კონგრესს. ამ ფაქტმა თავისი გარეგანი გამოხატულება ჰპოვა იმ გარემოებაში, რომ კონგრესზე ჩვენ ვარჩევდით უფრო მნიშვნელოვან საკითხებს მთელი რიგ პარტიების ცხოვრებიდან.

რაში გამოიხატებოდა, ასე ვთქვათ ჩვენი კონგრესის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი? იმაში, რომ ჩვენ ვსხდებოდით კომისიებში, რომელთაგან თვითეული წარმოადგენდა მცირე საერთაშორისო კონფერენციას დიდ მნიშვნელოვან პარტიების უფრო საყურადღებო საკითხებისას. ჩვენ განვიხილეთ საფრანგეთის, იტალიის, ჩეხო სლოვაკიის, ნორვეგიის, დანიის, სამხრეთ-სლავიის, პოლონეთის, ამერიკის, ისპანიის და კიდევ სხვა საკითხები. ყველა ეს საკითხი საკითხები სათანადო სახელმწიფოების ძალმოსილობისათვის ჩვენ შევისწავლეთ და გადავსწყვიტეთ სხვა პარტიების საუკეთესო წარმომადგენლების მონაწილეობით, ვსარგებლობდით რა, ამ რიგად, საერთო მთლიანი მოძრაობის გამოცდილებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბოლოს, ჩვენი ინტერნაციონალი ხდება ნამდვილი მსოფლიო პარტია.

სხვა და სხვა პარტიებში სადაო საკითხების ნაყოფიერად გადაჭრა.

ჩვენმა კონგრესმა გულდასმით განიხილა თვითეული პარტია. პარტიაში ყოველი მიმართულება და ცალკე სადაო საკითხები და ჩვენ მიერ მიღებული დადგენილებანი შედეგია, ნამდვილად, კოლექტიური გამოცდილებისა და ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციის კოლექტიური აზრის. და თუ ცალკე საკითხებში არიან უმცირესობანი,—სხვა გვარად ეს არც შეიძლება იყოს,—ამ უმცირესობებს სახეში უნდა ჰქონდეთ, რომ რაც აქ დადგენილია, მოწონებულია მთელი ინტერნაციონალის მიერ.

ჩვენ წინაშე იდგა საფრანგეთის საკითხი. ჩვენ მაინც დავეხმარეთ ჩვენს მოძმე საფრანგეთის პარტიას ძველი სოციალისტური პარტიის ნაშთების მოსპობაში. ჩვენ გულახდილად ველაპარაკებოდით ფრანგ მეგობრებს მათი პარტიის ნაკლულოვანებებზე, ინტერნაციონალმა მისცა მათ მთელი რიგი განმარტებისა, და ეხლა ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია ვუცადოთ ამ მოლაპარაკების შედეგებს იმ იმედით, რომ ჩვენი მოძმე, საფრანგეთის პარტია დასძლევს თავის ავადმყოფობას.

დასმული იყო იტალიის საკითხი. აქ ყურადღება ექცეოდა სხვა გარემოებას აქ აუცილებელი იყო რევოლუციონურ მუშათა კლასისათვის მუშაობისადმი ახალ ნებისყოფისა და გამარჯვებისადმი ახალი რწმენის მიცემა. აუცილებელი იყო სოციალისტური პარტიის საუკეთესო ელემენტების კომუნისტურ პარტიისათვის შეერთება და წარსულის მწარე გაკვეთილების გათვალისწინება.

მე იმედი აქვს, რომ ჩვენ ჩეხეთის კრიზისიც ასევე მოვაგვარეთ. აქ ჩვენი ამოცანა იყო იმ მცირე მუშათა ჯგუფის სწორ კალაპოტში ჩაყენება, რომელმაც მდგომარეობის სირთულის გამო ცუდ გზას ჰყვა. და ჩვენ დიდ კმაყოფილებას ვგრძნობთ, იმის გამო, რომ ჩეხეთის დელეგაციის უმრავლესობა, თუმცაღა მას საბუთიც ჰქონდა აღშფოთება გამოეთქვა ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ დისციპლინის დარღვევის გამო, მაინც სავსებით ეთანხმება კონგრესის დადგენილებას.

ჩვენ განვიხილეთ ნორვეგიის საკითხიც. ამხ. ბუხარინმა დღეს უკვე დაწვრილებით და ნათლად გაარკვია იქაური ბრძოლის საკითხი. იქ მოიპოვება ნახევრად—რეფორმისტული და ნახევრად—სინდიკალისტური ხასიათის ნაშთები. ფედერალისტური ტრადიციები პარტიაში ერეულია ნაწილობრივ—სოციალ დემოკრატიულ ელემენტებში. აუცილებელი იყო გვეთქვა სრული სიმართლე ნორვეგიის პარტიისათვის, რომელიც წარმოადგენს კომუნისტური ინტერნაციონალის და საზოგადოდ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ უძლიერეს პარტიას.

ჩვენ ვარჩიეთ აგრეთვე მთელი რიგ სხვა საკითხებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის წარმატებით გადავჭერით. იმ უმცირესობებმა, რომლებიც ჩვენი კონგრესის დასრულების დროს, შეიძლება, სავსებით ვერ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებებს, დაუცადონ მათ შედეგებს და ისინი მაშინ დარწმუნდებიან, რომ მთელი კომინტერნის გამოცდილება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ცალკე პარტიების, რომლებიც შედიან ჩვენს ინტერნაციონალში.

62 ქვეყნის წარმომადგენლები.

ჩვენს კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდა 65 დელეგაცია 62 ქვეყნიდან. მესამე კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ 52 დელეგაცია. ჩვენი ინტერნაციონალი იზრდება და სწორედ ამისათვის აუცილებელია ჩვენი მუშაობის სისწორით მომზადება, დაწვრილებითი გაცნობა და პარტიებისათვის როგორც საერთო პოლიტიკური ლოზუნგების, ისე კონკრეტიული რჩევის მიცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომინტერნი წარმოადგენს არა პროპაგანდისა და აგიტაციის საზოგადოებას, არამედ ის თანდათანობით ხდება პროლეტარიატის მთლიანი მსოფლიო ორგანიზაციად.

ჩვენი ტაქტიკა. მუშათა მთავრობა. მთლიანი ფრონტი.

ჩვენ აგრეთვე ვარკვევდით მთელ რიგ საერთო ხასიათის საკითხებს და ამ მხრივ ჩვენი მუშაობა იმაში გამოიხატა, რომ დაწვრილებით განვმარტეთ ჩვენი დადგენილებები. რეზოლიუცია ტაქტიკის საკითხის შესახებ, რომელიც ჩვენ დღეს მივიღეთ, მიზნად ისახავს მეორე და განსაკუთრებით მესამე კონგრესის მიერ დასახულ ზომების გაგრძელებას, თანამედროვე მომენტის პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით.

ჩვენ აქ პირველად განვიხილეთ დაწვრილებით საკითხი მუშათა მთავრობის შესახებ. ამხ. [illegible], რომელთანაც ჩვენ ვმუშაობდით ქვეკომისიაში, განაცხადა იქ, რომ მუშათა მთავრობის შესახებ საკითხის ჩამოყალიბება, შეიძლება, ამ ჟამადაც არ იყოს სავსებით სრული. მე ვუპასუხე მას, რომ ჩვენ პირველად გვესაჭიროება ორი ან სამი ნამდვილი მუშათა მთავრობა, რომელიც შეიძენს გამოცდილებას და გაატარებს ნამდვილ რევოლუციონურ მუშაობას, ამ ლოზუნგით. და მაშინ იქნება შესაძლებელი მუშური მთავრობის რაობის სისწორით ჩამოყალიბება.

და მე, იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ერთ ან რამოდენიმე სახელმწიფოში შეგვეძლება მსგავსი გამოცდილებით სარგებლობა.

ერთიანი ფრონტის საკითხის შესახებ ჩვენ შევიმუშავეთ სავსებით სწორი ტაქტიკა.

ჩვენი პოლიტიკის საერთო ხაზი მიღებული იყო ჯერ კიდევ წარსული წლის დეკემბერში, მაგრამ მეოთხე კონგრესზე ჩვენ ჯამი უნდა გაგვეკეთებია მთელი წლის გამოცდილებათა და იმ დაბრკოლებათათვის, რომელთაც წააწყდა ეს ტაქტიკა.

აგრარული საკითხი.

ასეთივე საკითხი იდგა ჩვენს წინაშე აგრარულ საკითხშიაც.

ის საერთო ხაზები, რომელიც თეორიული თვალსაზრისით საუკეთესოდ იყო ჩამოყალიბებული მეორე მსოფლიო კონგრესზე, უნდა შეგვეფარდებინა (ცალკე) სახელმწიფოების ეხლანდელი მდგომარეობის კონკრეტულ პირობებისათვის.

ჩვენმა კონგრესმა ეს ამოცანა შეასრულა. მეოთხე კონგრესზე ჩვენ უკვე მოვუღეთ ბოლო ოპოზიციას, რომელმაც მეორე კონგრესზე განაცხადა, რომ კომუნისტები საზოგადოდ არ უნდა ჩაერიონ გლეხობის საქმეებში: ეს პოზიცია ჩვენ უკვე დავამარცხეთ კომინტერნზე. აგრარულ საკითხში ჩვენი ხაზი გარკვეულია და ეს შეადგენს გამარჯვებისათვის ჩვენი მზადების ნახევარს, ვინაიდან მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს გამარჯვებას, თუ ის შესძლებს მუშათა კლასის უმრავლესობის კომუნიზმის დროშის ქვეშ დაყენებას. მაგრამ ამოცანის მეორე ნახევარი მდგომარეობს იმაში, რომ შევძლოთ გლეხობის ერთი ნაწილის ნეიტრალიზაცია და სოციალისტურ ბრძოლაში ჩაითრიოთ მისი მეორე ნაწილი. მეორე კონგრესის თეორეტიულ რეზოლიუციებით და, მეოთხე—პრაქტიკული დადგენილებებით შეიქმნა მტკიცე საფუძველი სოფელში ჩვენი აგიტაციისა და გლეხობას შორის მთელი ჩვენი მუშაობისათვის.

აღმოსავლეთის საკითხი.

გადავედით აღმოსავლეთის საკითხზე. საერთო თეორიული ხაზი, მიღებული მეორე კონგრესზე, სავსებით სწორი აღმოჩნდა. ამ ჟამად საჭიროა მისი პრაქტიკული გამოყენება მთელ რიგ მხარეებში, რომლებიც აღმავალ ვლენ რევოლუციონურ განვითარებას, და მე იმედი მაქვს, რომ მეოთხე კონგრესმა შესძლო დიდი ნაბიჯის გადადგმა წინ აღმოსავლეთის მილიონიან და ათეულ მილიონიან ერების შორის ჩვენი მუშაობის ხაზში.

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა.

რაც შეეხება კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამას, ჩვენ, მართალია, ჯერ კიდევ არ მიგვიღია, მაგრამ ამ კონგრესზე დავდეთ მისი საძირკვლის პირველი ქვა. პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ჩვენ უკვე მოგვეპოვება ჩვენი მომავალი პროგრამის საერთო ხაზი.

ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ აგრეთვე ახალგაზრდობის მოძრაობას, ქალთა საკითხს, კოოპერაციას და ჩვენი მოძრაობის ყველა საერთო პრაქტიკულ საკითხებს.

პროფკავშირები.

პროფკავშირების საკითხში ჩვენ მივიღეთ ძლიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ჩვენ ბლოკი შევკარით **მცველ სინდიკალისტური მსოფლიოს საუკეთესო ნაწილთან.** ჩვენი შეთანხმება სინდიკალისტებთან ოფიციალური არ ატარებს დიპლომატიურ ხასიათს. **ეს ძმური გულახდილი შეთანხმებაა, როგორც შეფერის რევოლუციონერებს.** მართალია, არსებობს კიდევ აზრების ძლიერ სერიოზული განსხვავება კომუნისტური ინტერნაციონალისა და ჩვენს სინდიკალისტ ამხანაგების შორის, რომლებიც (სინდიკალისტები) ჯერ სავსებით კიდევ არ არიან კომუნისტები, თუმცაღა ისინი თავის თავს ასე უწოდებენ. მაგრამ ჩვენ მაინც შეუთანხმდით მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც თუმცა ჩვენ არ გვეკუთვნის, მაგრამ მას სურს კომუნიზმისათვის ბრძოლა. **ეს შეთანხმება სინდიკალისტებთან შეიცავს ძლიერ სერიოზულ ნაბიჯს წინ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მომზადებისაკენ.**

კონგრესის საერთო მნიშვნელობა.

მიიღეთ ყველა საკითხები, ჩვენს მიერ განხილული, აიღეთ ჩვენ მიერ გამოტანილი რეზ.-ბი, თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ისინი მთლიანად შეადგენენ ყველა იმ ფაქტორების გულმოდგინედ გამოშუქებულ, შეგნებულ, სერიოზულ მომზადების სურათს, რომელთაც მივყევართ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

ჩვენ ამ კონგრესზე არ მიგვიღია დადგენილებები შეტევაზე გადასვლის შესახებ. შესაფერი მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა. მაგრამ ჩვენ გადავსდგით ყველა წინასწარი ნაბიჯები იმისათვის, რომ სათანადო მომენტში მოუწოდოთ მუშათა კლასს შეტევისაკენ.

მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენმა კონგრესმა შეასრულა გრანდიოზული მუშაობა.

კონგრესი ყველა ჩვენთაგანისათვის იყო დიდი უნივერსიტეტი. ჩვენ ბევრი რამ შევისწავლეთ. პირველად ჩვენ გარკვევით გავეცანით ჩვენს ცალკე პარტიებს. ჩვენ ამ ჟამად ვიცნობთ არა მარტო ცენტრალურ კომიტეტებს ამ პარტიებისას, არამედ თვით პარტიებსაც. მათ ნაკლს, მათ პრობლემებს, მათ მიზნებს, მათ სულს და გულს.

პროფკავშირების საკითხში ჩვენ ერთხელ კიდევ განსაკუთრებით ხაზი გავუსვით **გაერთიანების** ლოზუნგს, ვინაიდან ამას მოითხოვს აუცილებლობა.

ჩვენ ამ ჟამად მთელს მსოფლიოში ერთსულოვნად უნდა გამოვიდეთ პროფკავშირების ერთობის დასაცავად. სახელდობრ იმისათვის, რომ ამსტერდამელები ემზადებიან გათიშვისათვის. მაგრამ ეს რასაკვირველია, ოდნავათაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ უარს ვამბობდეთ კომუნისტურ პრინციპებზე.

ჰააგის სამშვიდობო კონგრესი.

11 დეკემბერს ჰააგაში იყრება ამსტერდამელების მიერ მოწვეული სამშვიდობო კონგრესი. მათ მიიწვიეს რუსეთის პროფკავშირები და კოოპერატივები. მაგრამ არ მიიწვიეს ჩვენი მესამე ინტერნაციონალი. რუსეთის პროფკავშირთა წარმომადგენლებს შორის ჰააგაში გაემგზავრენ ამხ. რადეკი და ლოზოვსკი. ჩვენი ამხანაგები ამსტერდამელებს პირში ეტყვიან ყველაფერს, რაც უნდა ითქვას. ისინი განაცხადებენ: „თუ თქვენ, ბატონებო, გსურთ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, თქვენ პირველ ყოვლისა უარი უნდა სთქვათ სამშობლოს დაცვის ლოზუნგზე. თუ თქვენ გსურთ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, თქვენ უნდა აღიაროთ არმიაში პროპაგანდის აუცილებლობა, თქვენ უნდა აწარმოოთ არმიაში არალეგალური მუშაობა, თუ თქვენ ფიქრობთ ომის შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას, თქვენ ის უნდა მოამზადოთ, პირველად უნდა მოაწყოთ ერთსულოვანი გაფიცვა მილიტარიზმის წინააღმდეგ". ყველაფერს ამას ჩვენ ვეტყვით ამსტერდამელებს. ჩვენ მათ მოვაგონებთ იმას, რომ იმათ ხელი მოაწერეს ვერსალის ზავს, რომ მაშასადამე, ისინიც დამნაშავენი არიან შექმნილ მდგომარეობაში. ჩვენ არაფერს არ დავფარავთ, პირდაპირ ვეტყვით მათ ყველაფერს.

მაგრამ მიუხედავად იმისა, ამხანაგებო, ყოველგან დავიცავთ პროფკავშირების ერთიანობას იმისათვის, რათა რევოლუციის მოახლოვებისას არ დავრჩეთ ხელცარიელი ჩვენ უნდა დავიცვათ განადგურებისაგან პროლეტარიატის ეს მასიური ორგანიზაცია, რომელიც კომუნისტების ხელში იქნება შეუდარებელი იარაღი ჩვენი კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ერთიანი მსოფლიო კომუნისტური პარტია.

აი, ამხანაგებო, ძირითადი შინაარსი ჩვენი რეზოლიუციების. ჩვენ წინაშე ამ ჟამად სდგას დაუღალავი მუშაობის აუცილებლობა **ჩვენი პარტიების გაწმენდის და მომზადებისათვის** როდესაც ჩვენ ამა თუ იმ პარტიიდან ვრიცხავდით რომელიმე ბურჟუაზიულ ჟურნალისტს, შეიძლება, ეს რაიმე წვრილმანად გვეჩვენებოდა მაგრამ ამხანაგებო, ეს პროზაული, ხშირად არა სასიამოვნო სანიტარული მუშაობა გაწმენდისათვის, რომელიც აწარმოვა ჩვენმა კონგრესმა აუცილებელია იმისათვის, რათა ჩვენ მოგვეპოვებოდეს ნამდვილი კომუნისტური პარტიები, რომ მივამზადოთ ისინი ბრძოლისათვის.

ამხანაგებო, ჩვენ მივიღეთ აგრეთვე ძლიერ მნიშვნელოვანი დადგენილება საორგანიზაციო საკითხის შესახებ. ჩვენ თავიდან მოვიცილეთ **ფედერალიზმი ჩვენ შევადგინეთ ერთიანი მსოფლიო „კომუნისტური პარტია".** ამიტომ ჩვენ გვესაჭიროება ერთიანი ცენტრალური კომიტეტი ამ მსოფლიო პარტიისათვის.

ამ ცენტრალურ კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ბალკანეთიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან ანუ რუსეთიდან. ჩვენ ვკრებთ საუკეთესო პროლეტარულ ძალებს ყოველი მხრიდან, სადაც კი ისინი მოიპოვებიან, მაგრამ კომინტერნის აღმასკომში ისინი ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს. ჩვენ ეხლა გადაჭრით შევებრძოლებით ყოველივე ფედერალისტურ ტენდენციებს და გავატარებთ ნამდვილ დისციპლინას.

კიდევ რამოდენიმე სიტყვა დისციპლინის შესახებ.

ჩვენი ამხანაგები ზოგიერთ შემთხვევაში ხაზს უსვამენ იმას, რომ მათ აქვთ დისციპლინა და მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ასრულებენ იმ დადგენილებებს, რომლებსაც ეთანხმებიან მაგრამ ეს კიდევ არ არის დისციპლინა. დისციპლინა იწყება სწორედ იქ, სადაც აუცილებელია იმ დადგენილების შესრულება, რომელსაც ადამიანი არ იზიარებს სავსებით. (ხმები: მართალია)!

და დღეს მომხდარი რეორგანიზაცია ჩვენი აღმასკომისა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვხდებით მსოფლიო პარტია და თვითეულ შემთხვევაში უნდა დავიცვათ ნამდვილი საერთაშორისო დისციპლინა.

პერსპექტივები.

ამხანაგებო, ჩვენს რეზოლიუციაში ჩვენ განვიმეორეთ ის, რაც უკვე ითქვა მესამე კონგრესზე. ჩვენ განვაცხადეთ: თვითეული დიდი გაფიცვა, ყოველივე ნაწილობრივი აჯანყება, თვით რომელიმე მნიშვნელოვანი პარლამენტის კრიზისიც და უკანასკნელ წონასწორობის დროს შეიძლება გახდეს ამოსავალი პუნქტი დიდი რევოლუციონური მოძრაობის და თვით რევოლუციისაც. ეს დებულება სავსებით სწორია, შეიძლება ისიც [illegible] მაგრამ არავის არ შეუძლია იმის თქმა, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს დაუმყარებელ წონასწორობის და კაპიტალის შემოტევის პერიოდი, არავის არ შეუძლია იმის თქმა, თუ როდის გადავალთ შეტევაზე.

მაგრამ ერთი აშკარაა: ამ ჟამად ლაპარაკი არა ათეულ წლებზე, არამედ წლებზე. ჩვენი ძირითადი ამოცანა პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რათა დავიპყროთ მუშათა მასები, რომლებიც ჩვენ მხარს დაგვიჭერენ ბრძოლაში. კიდევ რამდენიმე წელი, და ჩვენ ყველგან ძლიერი კომუნისტური პარტიები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სამოქალაქო გადასახადი მოხმარდება ქალაქის ელექტროფიკაციის საქმეს.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სასურსათო გადასახადი

სასურსათო გადასახადის აკრეფა დასავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო. სასურსათო კომისარიატის ცნობით 26 დეკემბრამდე ხსენებულ მხარეში შეკრებილ იყო 1180 ფუთი სიმინდი.

მუშაობის მსვლელობა მაზრებში

— **რაჭის მაზრა.** რაჭის მაზრის სასურსათო გადასახადის ამკრებ კომისიის თავმჯდომარის ცნობით ამა წლის დეკემბრის 20-დე შეკრებილი არის 455 ფუთი ხორბალი, სიმინდი 141 ფუთი, ლობიო 189 ფუთი და ქართოფილი 44 ფ. მუშაობა გრძელდება.

— **ახალ-სენაკის მაზრა.** საჭირო სამზადისი დასრულებულია და აკრება გადასახადის დაიწყება 25 დეკემბრიდან.

— **ოზურგეთის მაზრა.** გადასახადის გადამხდელთა საბოლოო სიები უკვე შედგენილი და დამტკიცებულია. გადასახადის აკრება დაიწყება 28 დეკემბერს.

— **შორაპნის მაზრა.** ამ მაზრაში გადასახადის აკრებას შეუდგნენ 18 დეკემბერს, მუშაობა სასურველად მიმდინარეობს.

— **ქუთაისის მაზრა.** ვინაიდან ხარკის ამკრებ კომისიამ ცნობა მიიღო, რომ ამ მაზრის ზოგიერთ ადგილებში ჯერ-ჯერობით სიმინდი არ არის საკმაოდ გამხმარი, რისთვისაც გადასახადის აკრება დაიწყება ახალი წლის 1 იანვრიდან. სიები უკვე შედგენილია და დამტკიცებული.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

შემოდგომის თესვის კამპანიის მსვლელობა.

თბილისის მაზრა. შემოდგომის თესვის კამპანია მაზრაში დამთავრდა და დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. თბილისის სასურსათო სამაზრო კომისრის სიტყვით, რომელმაც დაიარა მაზრის ყველა რაიონები, საზამთრო ნათესებს მეტად კარგი პირი უჩანს. ახალქალაქის (ბელიკლიუჩის) და წალკის რაიონები განიცდიან სათესი მასალის ნაკლებობას, რადგან ნათესის მნიშვნელოვანი ნაწილი სეტყვის მიერ იქნა განადგურებული. ეს რაიონები სათესი მასალით დააკმაყოფილა თბილისის სამაზრო აღმასკომმა, მასცა რა სესხის სახით სასურსათო გადასახადის ფონდიდან [illegible] რაიონს—2000 ფუთი. დანარჩენი რაიონები დაკმაყოფილდენ ადგილობრივი საშუალებებით და თესვის კომიტეტისაგან მიიღეს მხოლოდ მცირედი დახმარება. ამჟამად ადგილებზე სწარმოებს გაძლიერებული ხნადება გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის, სდგება სიები და იკრიბება საჭირო მასალის რაოდენობა.

სამაზრო თესვის კომიტეტის მიერ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის წარდგენილ 1913 წლის ხარჯთაღრიცხვაში შედის ახალი მარცვლის დასაწმენდი პუნქტების მოწყობა, რადგან მაზრაში არსებული სამი პუნქტი საკმაო არ არის.

სათესლე სესხის აკრეფა.

ტფილისის მაზრა. მაზრის მცხოვრებთათვის 1921 და 1922 წლ. დარიგებულ სათესლე სესხისაგან ა. წ. 20 დეკემბრისათვის აკრეფილია:

[illegible], დიღომის, წყნეთის, ნორიოს, სართიჭალის, საგარეჯოს, ასურეთის და მანგლისის რაიონებში—მთელი 100 პროც. მარტყოფის, გომბორის, კოჯორის და ველ უღლაბის—90 პროც. კრწანისის, თელეთის და წალკის—80 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ წალკის რაიონში, სადაც მოსავალი [illegible] დაზიანებით, სათესლე სესხის აკრეფა უკანასკნელ დროს დამაკმაყოფილებლად სწარმოებს და მისი რაოდენობა ამ ბოლო ხანებში გაიზარდა 30 პროცენტ.—80 პროცენტამდე.

სიმინდის მიმღები პუნქტების ორგანიზაცია დამთავრდა და სიმინდის აკრეფა უკვე დაიწყო და წარმატებით სწარმოებს. ა. წ. 20 დეკემბრისათვის აკრეფილია დარიგებულ 9000 ფუთიდან 850 ფუთი 2—8 პროცენტამდე.

თესვის კომიტეტს იმედი აქვს, რომ დეკემბრის დასასრულს ყველა რაიონებში აკრეფილი იქნება მიცემული სათესლე სესხის 100 პროც.

მომზიდილო დაწესებულებებში და ამავე ზომიდაც მხოლოდ სათანადო უწყების ნებართვით. თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ამ დადგენილების დამრღვევი პირი დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

მსხვილი მრეწველობის წარმომადგენელთა თათბირი.

მოსკოვი, 26 დეკ. დამთავრდა მსხვილი მრეწველობის და ტრანსპორტის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირმა მიიღო რეზოლიუციები: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან მრეწველობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის ტარიფების დარიგების შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საშინაო ვაჭრობის კომისარიატის და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ვაჭრობის და მრეწველობის ერთიან კომისარიატში გაერთიანების აუცილებლობის შესახებ, როგორც ძირითადი ინდუსტრიისათვის ისე მრეწველობის სხვა დარგების ფინანსიურად უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ, მოკლე ვადიანი სესხის მხოლოდ სამრეწველო ბანკის საშუალებით მიცემის აუცილებლობის შესახებ, განსაკუთრებული ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც მრეწველობას მიეცემა ოქროს ფონდიდან. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი მრავალგვარი გადასახადების ლიკვიდაციის შესახებ და გადასახადთა განაკვეთის დიფერენციაციის შემოღების შესახებ.

არ გვექნება არაფრის შიში. რუსეთის რევოლუციის 5 წელს ამაოდ არ ჩაუვლია.

რუსეთის გლეხების და მუშების დიდი სიამაყე გამოიხატება იმაში, რომ ისინი ამბობენ: „მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა, ჩვენ შევძელით ჩვენ სახელმწიფოში რაიმეს გაკეთება იმისათვის, რომ ავაღორძინოთ და დავეხმაროთ სხვა სახელმწიფოების მუშათა მასები (ტაში).

კიდევ რამდენიმე წლის მუშაობა, და ჩვენ თავისუფლად ამოვისუნთქავთ. წინასწარი მუშაობა გაწეულია თვითეულ სახელმწიფოებში ჩვენ მოგვეპოვება შეკავშირებული კომუნისტური პარტია და ამ ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ძლიერი კომუნისტური პარტიის შექმნა რომელიმე ცალკე სახელმწიფოში ამ ჟამად უფრო მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით, ვინემ ვერსალის ზავი, ლოზანის კონფერენცია და ყველა ეს, ეგრედ წოდებული, სამშვიდობო კონფერენციები.

ღია წერილი მეორე ინტერნაციონალს და ამსტერდამელებს.

[illegible], ამხანაგებო! ჩვენ წინ გვიდგას მძიმე დრო. ჩვენ რევოლიუციებმა აღვიძინეთ საერთაშორისო ფაშიზმის შემოტევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ასობით და ათასობით ჩვენი ამხანაგები მოხვდებიან ციხეებში და გახდებიან მსხვერპლი ბურჟუაზიისა და სოციალ პატრიოტების, რომლებიც მოქმედობენ თეთრგვარდიელებთან ხელი ხელ ჩაკიდებით.

მაგრამ დღემდე განვლილ დროს ამაოდ არ ჩაუვლია. ბურჟუაზიამ, 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალებთან ერთად, ყოველივე საშუალება იხმარა იმისათვის, რომ ჩვენ დავემარცხებინეთ მაგრამ მათ ვერ შეიძლეს. ერთიანი [illegible] ტაქტიკაში ჩვენ [illegible] ამ ჟამად გასაღები საერთო [illegible] ისათვის. ჩვენ [illegible] [illegible] ნი უარს იტყვიან ჩვენთან ერთიანი ფრონტის შექმნაზე როგორც ეს ჰქნეს სოციალ პატრიოტებმა საფრანგეთში. როცა ფრანგმა ამხანაგებმა მიმართეს წინადადებით ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, მათ უპასუხეს [illegible] ულერ"-ში:

„ჩვენ არ შეგვიძლია თქვენთან ერთად ერთიანი ფრონტის შექმნა. შეხედეთ, რა დაიწერა ჩვენზე ლენინის". და შემდეგ მოყვანილია ამხ. ლენინის მთელი რიგი არა სასიყვარულო სიტყვები საფრანგეთის სოციალ პატრიოტებზე. ხოლო შემდეგ გვერდზე მათ მოჰყავთ ამხ. ტროცკის კიდევ უფრო სასტიკი ციტატები, შემდეგ ჩემიც. უნდა ვაღიარო, რომ მეც ვეძლევინე მათ მთელი რიგი ქათინაურები (სიცილი).

ეს ხალხი იქნება ფიქრობს, რომ ჩვენ შევიბრალებთ მათ, რომ ჩვენ დავივიწყებთ მათ დანაშაულს ჩვენთა კლასისადმი. არასოდეს! ჩვენი ძირითადი ამოცანა ახლო მომავლისათვის იქნება სახელდობრ მე-2-ე ინტერნაციონალის გამოტანა სააშკარაოზე. ამსტერდამის ინტერნაციონალი ეს გამცემლობის ინტერნაციონალია, ვინაიდან ის ბურჟუაზიის იარაღს წარმოადგენს. და მიუხედავად ამისა, ჩვენ გვსურს ერთიანი ფრონტის შექმნა ყველა მუშებთან, რომელთაც სურთ ბურჟუაზიასთან ბრძოლა.

დასკვნა.

ამ რიგად, ამხანაგებო, ჩვენ ვამთავრებთ ჩვენ მუშაობას და დარწმუნებული ვართ, რომ მეოთხე მსოფლიო კონგრესმა ბევრი გააკეთა ყველა 62 პარტიისათვის, რომლებიც შედიან კომინტერნის შემადგენლობაში. მუშაობისაკენ, ამხანაგებო! და გისურვებთ თქვენ უდიდეს გამარჯვებას ყველა იმ დაბრკოლებაზე, რომლებიც თქვენ უნდა გადალახოთ. წაიღეთ თან იმავე იმის შესახებ, რომ ინტერნაციონალი ამ ჟამად შეიარაღებულია სავსებით კონკრეტიულ დადგენილებებით.

უამბეთ, რომ ჩვენი ერთსულოვნება არასდროს უფრო ძლიერია, ვინემ ოდესმე იყო, რომ პარტიამ და წყო [illegible] ძალების მოგროვების [illegible] ერთი სიტყვით, რომ ჩვენ შე[illegible] ერთიანი მსოფლიო პარტიას დღე [illegible] ბურჟუაზია და მისი თეთრი ანუ ყვითელი მეორე ინტერნაციონალი. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. კრემლის კურსანტების [illegible] ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალ"-ს).

ასანთის ექსპორტი.

მოსკოვი. 26 დეკემბ. ამ დღეებში პეტროგრადის ხის ტრესტი აგზავნის რეველში ასანთის პირველ პარტიას 5,000 ყუთის რაოდენობით, საიდანაც ის გაიგზავნება ინგლისისა და საფრანგეთის ბაზრებზე. ასანთის კოლოფის ერთი მხარეზე გამოხატულია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ღერბი, მეორეზე—ფაბრიკის სახელწოდება და წარმოების მისამართი ინგლისურ ენაზე.

ქაღალდი.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ სცნო ბეჭდვის შემცირება ქაღალდზე და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაზე. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ უცხოეთში შესყიდული ქაღალდი განაწილებული იქნება გამომცემლობათა და პოლიტიკურ. განათლების მთავარ განყოფილებათა შორის ქაღალდის ტრესტის განკარგულებით.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 26 დეკემბ. უზენაეს რევტრიბუნალის სამხედრო კოლეგიაში ირჩეოდა საქმე კოლჩაკის სამხედრო-საველე სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარის ურივაევისა. თავის დროზე ურივაევმა სიკვდილით დასჯის მრავალი განაჩენი გამოიტანა საბჭოთა ხელისუფლების მომხრეების მიმართ. ტრიბუნალმა ურივაევს დახვრეტა მიუსაჯა.

სოციალური დაზღვევა.

მოსკოვი, 16 დეკემბ. სრულ. რუსეთის ც. აღ. კომიტეტმა დაადგინა დაქირავებულ შრომით მცხოვრებ პირთა სოციალურ დაზღვევას მთელი საქმე გადაეცეს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან შრომის სახ. კომისარიატს.

გიდრო-ელექტრიული სადგურის მოწყობა შეიძლება მხოლოდ მშრომელ ტფილისის ენერგიით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სასოფლო მეურნეობის აღდგენა.

სახალხო ბანკის სასოფლო მეურნეობის განყოფილებამ მიიღო ბათომიდან 100 გუთანი. ამას გარდა გაზაფხულისათვის განყოფილება მიიღებს დიდი რაოდენობით სასოფლო მეურნეობის მანქანებს და იარაღებს.

მოსამსახურეთა საკრედიტო ამხანაგობა.

სახალხო ბანკის კოოპერატიულმა განყოფილებამ შეიმუშავა მოსამსახურეთა საკრედიტო ამხანაგობათა წესდება. წესდების თანახმად, ამხანაგობათა ძირითად კაპიტალს შეადგენს წევრების საპაიო გადასახადი და შემოწირულებები. ამხანაგობის მიზანია კრედიტის საშუალებით ხელის შეწყობა ცოდნის და სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველო

აფხაზეთი

სასურსათო გადასახადი. მიმდინარე წელს აფხაზეთში აკრეფილ უნდა იქნეს 150 000 ფუთი სიმინდი, აკრეფა დაიწყება მხოლოდ თებერვალში. გადასახადის ნაწილის ღვინით შეცვლის საკითხი ჯერჯერობით უარყოფილია. სიმინდი შეცვლილ იქნება მხოლოდ ხორბალით, თხილით, ლობიოთი და ქართოფილით, და აგრეთვე ფულით. სასურსათო გადასახადის რეალიზაციის მიზნით სასურსათო სახ. კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ყირიმის და ყუბანის სასურსათო კომისარიატებთან სიმინდის მარილზე და ზეთზე გადაცვლის შესახებ.

აჭარა.

შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შედეგები.

შრომის სახ. კომისარიატის კანცელარიამ შეადგინა ანგარიში თავისი წლიური მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მოწმობს იმას, რომ ერთი წლის განმავლობაში ნაწარმოებია დიდი მუშაობა. კოლეგიის 67 სხდომაზე განხილულ იქნა 1.250 საქმე, საიდანაც 4.050 საქმე ეხებოდა შრომის დაცვის განყოფილების დადგენილებათა დარღვევას, ხოლო დანარჩენი 215 აქტიდან იყო წმინდა პრინციპიალური ხასიათისა. ივნისში მოხდა ქალაქის მამრობითი სქესის მცხოვრებთა აღწერა, რომელთაც ხელში არის ტვირთზიდვის საშუალებანი.

აღრიცხულია 14,105 კაცი, 18—50 წლ. ასაკამდე, რომელთაც აქვთ ტვირთზიდვის საშუალებანი. საქართველოს შრომის სახ. კომისარიატისაგან მიღებულია ტვირთზიდვის გადასახადის ნიშნები 48 610 მან. ოქროთი. უმუშევართა კადრის შესამცირებლად შრომის საკომქა მოაწყო უმუშევართაგან ქალაქი არტელი, რომელშიაც შევიდა 600 კაცი, და ელექტრო მონტიორების კოლექტივი, რომელშიაც შევიდა 30 უმუშევარი. შრომის სახ. კომისარიატმა ზღვის ნაპირო არტელში მოახდინა გაწმენდა და შეამცირა უკანასკნელი 6.9 კაცით; შეძლებულებზე გაიწერა ტვირთზიდვის გადასახადი. შეაგროვა გასახადი, გაათავისუფლა ღარიბები და მისცა მათ სათანადო დოკუმენტები. საკონფლიქტო კომისიამ განიხილა მთელი რიგი კონფლიქტებისა და სულ 55 საქმე; კონფლიქტების გასწორებისაგან შემოსული თანხა უდრის 180 მილ. მან. ქართ. ფულის ნიშნებით, 120 მილ. ქაღ. ლირას და 11 ათას იტალ. ლირას. შრომის სახ. კომისარიატმა რეგისტრაციაში გაატარა 70 ხელშეკრულება წარმოებებთან და ორგანიზაციებთან.

ლირის კურსი.

ბათუმი. იმის გამო, რომ შავ ბირჟაზე ოსმალ. ქაღალდის ლირის კურსი განსხვავდება იმ კურსისაგან, რომელიც ხმარებაშია ბიუჯეტში, და ამ ნიადაგზე დიდი გაუგებრობა აქვს ადგილი, 22 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭოში დანიშნული იყო ახალი ეკონომიური თათბირი, სახ. კომისართა საბჭოს, თავჯდომარის, სახელმწიფო ბანკის ფინანსთა სახ. კომისარიატის, სახალხო ბანკი და სხვ. წარმომადგენელთა მონაწილეობით, ლირის განსაზღვრულ კურსის დასაწესებლად.

არტელი უმუშევართათვის

კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ერთ-ერთ თანამშრომელს ამხ. ვოლინის მიერ შედგენილია პროექტი უმუშევართათვის განსაკუთრებული არტელის მოწყობის შესახებ. არტელი სამ ნაწილად იქნება გაყოფილი საბუხჰალტერიო შრომა, იურიდიულ ლიტერატურული და შავი მუშაობის განყოფილება. დაწესებულებებში ყოველგვარი ზედმეტი სამუშაო აკრძალული იქნება თუ ასეთი მუშაობა საჭირო იქნება, მას შეასრულებს არტელი დაკლებულ ფასებში. მოწყობილ იქნება განსაკუთრებული იურიდიული კანტორა გადაწყვეტილებათა შესადგენად, აქტების შესამოწმებლად და სხვ. ამავე დაკლებულ ფასებში შავი სამუშაოს განყოფილება შეასრულებს ეზოს და სანიტარიო მეურნეობას, არხების გაწმენდას, ძველ-ძველების შეგროვებას ქაღალდის ფაბრიკებისათვის, ძვლების და რქების გროვებას ქიმიურ ქარხანისათვის და სხვა. პროექტი გადაეცა შრომის სახ. კომისარიატს განსახილველად.

მოქალაქენო! ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ელის თქვენგან მატერიალურ და მორალურ დახმარებას ქალაქის ელექტროფიკაციის საქმეში.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად № 14.

ყველა ოლქკომებს, მაზკომებს და რაიკომებს, რომელნიც უდგებიან რკინის გზის ლიანდაგს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოიწვიოს 1923 წ. იანვრის პირველ ნახევარში ტრანსპორტის კომუჯრედების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირი.

თათბირის მიზანია: 1. ტრანსპორტის პარტიულ მოღვაწეთა დაახლოვება უმაღლეს პარტ ორგანოებთან 2. ყველა იმ დეფექტების გამორკვევა რომელთაც ადგილი აქვთ ტრანსპორტზე, ა) პარტ-ორგანიზაციული, ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო და გ) წარმოებითი ხასიათის.

თათბირმა უნდა გამოიმუშაოს შესაფერი ზომები; დეფექტების გამოსასწორებლად.

თათბირს რომ მხოლოდ საქმითი ხასიათი ექნეს თქვენ უნდა შეკრიბოთ საკმაო მასალა, რომელშიაც [illegible] გაშუქებული ადგილობრივ პარტიულ მუშაობას ტრანსპორტზე.

თათბირის დღის შესახებ გეცნობებათ ცალკე.

საქ. კ. პ. ც. კ. მდივანი **ხახანაშვილი.**
სატრანსპორტო ქვე-განყოფილების გამგე **ა. მუშანია.**

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები
(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშიდან)

ქუთაისის მაზრა. გაწმენდის შემდეგ სამაზრო პარტიული ორგანიზაცია შემცირდა 243 კაცით ანუ აღნიშნულ ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 32,1 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულია (გაწმენდის ინსტრუქციის § 10 თანახმად) 70 კაცი, გამორიცხულია—173 და დროებით გამორიცხულია—6 ამ რიგად მექანიკურად გამორიცხულები შეადგენენ—28,1 პროცენტს გამორიცხულები—69,4 პროცენტს და დროებით გამორიცხულები—2,5 პრ. სოციალური მდგომარეობის მიხედვით პარტიიდან გამორიცხულთა დაყოფა ასეთია:

	გამორიცხულია	დრ. გამორიც.	მექ. გამორიც.	სულ
მუშები	4	—	21	25
ხელოსნები	19	—	7	26
გლეხები	135	5	36	176
მოსამ. და სხ.	15	1	6	22
სულ	173	6	70	249

თვითეულ სოციალურ ჯგუფში პარტიულ რიგების შემცირება გამოიხატება შემდეგ პროცენტებში: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა—20,8 პ. ხელოსნებმა—27,4 პროც. გლეხებმა—41,5 პროც. და მოსამსახურეებმა—16,2 პროც. მეტი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ მათ მოჰყვებიან ხელოსნები, შემდეგ მუშები, ყველაზე ნაკლები პროცენტი დაჰკარგეს საბჭოთა მოსამსახურეებმა და სხვ.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით როგორც არა კომუნისტი საეჭვო და მერყევი ელემენტი—80, პოლიციაში და თეთრებთან სამსახურისათვის—5, მექრთამეობის და პირად სარგებლიანობისათვის—1, ბანდიტიზმის და ქურდობისათვის, როგორც ბოროტმოქმედი—2, ბანდიტების დაფარვისთვის—6, სამხედრო ბეგრისაგან დამალვისა და პარტიულ დეზერტირობისათვის — 4. კარიერიზმის და პირად სარგებლობისათვის პარტიაში შემოპარვისათვის—12, ლოთობის, უპასუხისმგებლობის და უდიერი მოპყრობისათვის—11, სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებათა აღსრულებისათვის—4, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის—6, ბიუროკრატიზმისა და სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის—2. სპეკულიაციისა და ვაჭრობისათვის—1, ინტრიგანობისათვის—2, პარტიულ დავალებათა აუსრულებლობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—37, პასიურ წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი)—5 პარტიაში კონტრ-რევოლიუციონური მიზნით შეპარვისთვის—2 სულ—179; მექანიკურად გამორიცხული—70.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

პარტიული მუშაობა ბათომის ოლქში ნოემბერში.
(დასასრული. იხ. „კომუნ." № 295)

ნაციონალურ უმცირესობებში მუშაობა მოისუსტებდა, რაც აიხსნება შესაფერი დარგის მომუშავეების საკმარისი კადრის უქონლობით. ქალთა განყოფილებამ საანგარიშო თვეში გამოიჩინა უდიდესი ინიციატივა საბავშვო სახლების მოწყობაში. ასეთი სახლი იქნა მოწყობილი, სადაც მოთავსებულია რამოდენიმე ქურთის ბავშვი. ქალთა განყოფილების სადღეისო და მომავალ ამოცანას შეადგენს ასეთი საბავშვო სახლების მოწყობა, ქუჩიდან ბავშვების აკრეფა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორების კრებები იყო ორი: [illegible] ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად. ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს მთელი ბათომის მშრომელ ქალებმა და ბავშვებმა ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობით; ციკში მოწყობილ იქნა საბავშვო სპექტაკლი „ბიძია თომას ქოხი", რომელზედაც დაესწრო 5 000 ბავშვი. დაწესებულებებში ეწყობოდა მომუშავე ქალთა კრებები, რომლებზედაც კითხულობდა მოხსენებები შემდეგ კითხვებზე: 1) ქალი (დედაკაცი) ოჯახში, აწმყოში და მომავალში, 2) მესამე კომინტერნი და მუშა ქალი, 3) პროსტიტუციის განვითარება, 4) ქუჩის ბავშვებზე ზრუნვა. ში დაარსებული [illegible] და ქუდების სამკერვალო სკოლა განაგრძობს მუშაობას. ქალთა განყოფილება ისახავს მიზნად ასეთივე სკოლების გახსნას სხვა რაიონებშიაც.

ქალთა განყოფილება აქტიურ მონაწილეობას ღებულობს როგორც საბჭოთა და პროფ. საქმეებში, აგრეთვე განათლების საქმეებშიაც. განყოფილებამ შეიმუშავა მომავალი თვის სამუშაო გეგმა, რაც დამტკიცებულ იქმნა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო კოლეგიის მიერ.

ახალგაზრდათა კომკავშირის, ისე როგორც კომპარტიის ცხოვრებაში **დიდი წინსვლა მუშაობაში,** ან უკეთ ვსთქვათ, ეს თვე ჩაითვლება კომკავშირის ბათომის ორგანიზაციის გაძლიერებულ მუშაობის პერიოდათ. ამ გარემოებას ხელი შეუწყო კავშირის ორგანიზაციის გაწმენდამ მიხედვით აღრიცხვა ამ რიგ კომკავშირელებისა; შედგენილი იქნა საოლქო ინსტრუქტორების კადრი, რიცხვით 9 კაცი, უწინდელ 4-ის მაგიერ. ამ ნაირად კავშირი კომკავშირის საოლქო კომიტეტისა და თვით ოლქის შორის საკმაო დონეზე დგას. ორგანიზაციის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ ყველა კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულია თითო კომიტეტი მუშაობის ხელმძღვანელათ. შემდეგ თვეში, პარტკომის ძირითადი კითხვა შეადგენს კომკავშირზე კომუნისტური გავლენის და მუშაობის გაძლიერება.

მუშაობა ტრანსპორტზე მიმდინარეობს [illegible], დამაკმაყოფილებელია აგრეთვე მშრომელი მასის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. უმთავრესი, რაც გვაქვს ტრანსპორტზე საანგარიშო თვეში, ეს არის **ბრძოლა მექრთამეობასთან.**

კარგია გაწყობილება პროფკავშირებისა, ფაბრიკა ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტებისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ჩანს თუნდაც მარტო იმ ერთსულოვნებიდან, რომლითაც მიღებული იქნა მისასალმებელი სიტყვები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და ამიერ კავკასიის, როგორც ამ კავშირში შემავალ ერთეულის, მისამართით. ყველა კავშირებთან არსებობს კომფრაქციები.

სრულიად დამაკმაყოფილებელია კავშირი წითელ არმიასთან. მიღებული შეფობა ტარდება რეგულიარულად.

ი. შ.

შრომის დაცვა და ჩვენი სასამართლო

22 დეკემბერს პროფკავშირთა პატარა დარბაზში შედგა მბეჭდავთა კომკავშირის, ახალგაზრდათა კავშირის და საინჟინრო ათასეულის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება შრომის დაცვის შესახებ, 2) მოხსენება ჩვენი სასამართლოს შესახებ და მიმდინარე საკითხები. შრომის დაცვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. მეხრაძე. შრომის დაცვის ამოცანას შეადგენს, ამბობს მომხსენებელი, ებრძოლოს ყოველგვარ ექსპლოატაციას. მომხსენებელი იხსენებს აგრეთვე იმ მძიმე პირობებს, რომელშიდაც უხდებოდა მუშაობა მუშებს ძველ დროში, როდესაც მათი სამუშაო დღე 12—14 საათს აღემატებოდა და სამუშაოზე ღებულობდენ სულ მცირე წლოვანებსაც. როდესაც ისე მოითხოვდა ბავშვების შრომის აკრძალვას ან და წლოვანების განსაზღვრას, ფაბრიკანტები ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდენ ვინაიდან სარგებელი უფრო ძვირფასი იყო მათთვის, ვინემ ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუშების ბავშვებისა. ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდენ მუშები მანამ, სანამ თვით მუშათა კლასმა არ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში. ყველაზე უფრო მეტი ენერგია გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც თავის არსებობის პირველ ხანებშივე გამოსცა დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის, 4 საათის სამუშაო დღე მცირე წლოვანთათვის და 6 საათის მოზრდილთათვის. გაანთავისუფლა მუშა ქალები მძიმე შრომისაგან 8 კვირით ადრე მშობიარობამდე და რვა კვირით მშობიარობის შემდეგ და სხვა. მომხსენებელი აღნიშნავს სხვა რაიმე ბათ სთვლის ერთი წლის განმავლობაში ერთი თვეით დასვენებას, 5 ხნევარ წლის განმავლობაში კი 2 კვირით, რომლითაც უნდა ისარგებლონ მუშა-მოსამსახურეებმა. შემდეგ მომხსენებელი ეხება დასასვენებელ სახლების მოწყობას მუშებისათვის და საბავშვო სახლებისას, რომელზედაც საბჭოთა ხელისუფლებას აქვს გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები. აგრეთვე ამხ. ნ. მეხრაძე მოხსენების დასასრულს ამბობს, რომ შრომის სათანადოთ დასაცავად საჭიროა ინსპექციამ იქონიოს რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი წარმოებების მუშებთან.

ამხ. ვირაპი, რომელიც [illegible] ახსნის, თუ რა დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს ჩვენს სასამართლოს ამბობს, რომ სასამართლოს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა იგი დადგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე. მას მოჰყავს სახალხო მოსამართლეების უარყოფითი მხარეები და მოითხოვს სახალხო სასამართლოების რეორგანიზაციას, რომელიც უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში დაუყოვნებლივ, რისთვისაც საჭიროა სათანადო დახმარება საბჭოთა და პარტიულ ორგანოებისათვის. ამისათვის საჭიროა მობილიზაცია მუშაკების კადრისა, რომელთაც პირველ ხანებში რასაკვირველია გაუჭირდებათ სახალხო მოსამართლეობის მოვალეობის შესრულება, მაგრამ თანდათანობით გაიწვრთნებიან და გამოდგებიან მუშების და გლეხების ინტერესების ნამდვილ დამცველებათ. მიმდინარე საკითხებში იქნა გარჩეული რამოდენიმე წვრილმანი უმნიშვნელო საკითხი. კრება დასრულდა ღამის 9 საათ.

მე-2-ე რაიონის მუშა-ქალთა სადელეგატო კრება.

მე 2-ე რაიონის მუშა ქალთა სადელეგატო კრებაზე დაესწრო 90 ქალი. პოპულიარულმა მოხსენებამ ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია მუშა ქალთა შორის და მის დამთავრებას კრება მხურვალე ტაშით შეხვდა. მოხსენების შესახებ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ მე 2-ე რაიონის დელეგატი—მუშა ქალები სალამს უძღვნიან ყრილობას, როგორც ამიერ კავკასიის მშრომელთა გაერთიანების და ძმობის საფუძველს და გამოსთქვამს სურვილს, რათა საჩქაროდ განხორციელებულ იქნეს ყრილობის ყველა დადგენილებანი.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა სოლიდარობას.

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ყრილობას.

მომავალი

წითელ სამოსში გაეხვევა მთელი მსოფლიო,
პარიზ-ლონდონის გადაწვავენ ქარიშხლები,
ძველი მამები ეწვევიან ცრემლებით სიონს,
შეწუხებულნი სისასტიკით ცეცხლის ალების...

და დაინგრევა ავ სულების ძველი ტაძარი,
წამების ჯვარი დაიმტვრევა შავ გოლგოთაზე,
მებრძოლთა თქმაზე გაუჩნდება [illegible] ხანძარი
და დაიწვება აზვირთებულ ცეცხლის ძლიერ ალზე.

ო, დასრულდება სისხლიანი ეპოქა ძველი,
ბოროტი გველი ჩაიხრჩობა სისხლის ტალღებში;
მიუვალ მთებში საფლავს ჰპოვებს ბნელეთის [illegible]
და ფუფუნების ძველი ღმერთი გახდება ლეში.

განაწამები წყლულებისგან მაშვრალთა ჯარი,
მასთან მთა-ბარი [illegible] მკვდრეთით აღდგომას,
[illegible] შრომას ჰიმნს შეუთხზავს ცეცხლის გრიგალი
და შორს გადისვრის მტარვალების უხეშ მეფობას.

კალე ფეოდოსიშვილი.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა საბჭოების ბელადს [illegible].

ასე უპასუხებენ ტფილისის მუშაქალები მენშევიკების პროვოკაციაზე, რომელთა მიზანია პროლეტარიატის დაქსაქსვა და მის შორის ეროვნული ზღუდეების აღმართვა.

ლ. ძ.

მეორე რაიონის დიასახლისთა კრება

შაბათს 16 დეკემბერს შედგა ს. კ. პ. მე 2 რაიონის დიასახლის ქალთა პირველი ორგანიზაციული კრება, რომელზედაც გამოცხადდა 30 ქალი. რაიონის სიდიდის მიხედვით კრებაზე გამოცხადებულ ქალთა ასეთი ცოტა რიცხვი აიხსნება საქარხნო-კომიტეტების და უჯრედების პასუხისმგებელ მდივნების საქმისადმი გულგრილად მოპყრობით, ვინაიდან სახლის მეპატრონე ქალთა მოწვევა მათი საშუალებით ხდებოდა. მიუხედავად დამსწრეთა მცირე რიცხვისა კრება ცოცხლად ჩატარდა. მოხსენებამ, ქალთა განყოფილების ამოცანების შესახებ, გამოიწვია მთელი რიგი შეკითხვებისა სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კრებების თვეში ერთხელ გამართვის წინადადებამ, ქალების მხრიდან გამოიწვია წინადადება თვეში ორჯერ გამართვის სურვილისა, რაც ცხადყოფს ქალთა მოძრაობის გამოცოცხლებას. იმედი გვაქვს საქარხნო კომიტეტებს და კომუჯრედების [illegible] მუშაობა [illegible] მოგვცემს სასურველ შედეგებს, ქალები მიმდინარე მომენტით დაინტერესებით და მათი საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმით.

ლ. ძ.

მუსლიმანთა ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის გახსნა

24 დეკემბერს ტფილისის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ლ. რუხაძის მეთაურობით გაიხსნა მუსლიმანთა ბავშვებისათვის საბავშვო ბაღი საქარხნო ქუჩაზე № 16.

ბაღის გახსნას დაესწრო აუარებელი მუსლიმანობა და მიიღო საზეიმო ხასიათი; მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მუსლიმანთა [illegible] საბავშვო ბაღის გახსნის გამო, გაისმოდა ხმები: „არ გვინდა მეჩეთები, გაგვიხსენით საბავშვო ბაღები, სახლები და სკოლები".

გაიმართა კრება, სიტყვა წარმოსთქვა განათლების განყოფილების გამგემ ლ. რუხაძემ და საკუთრივ დაახასიათა საბავშვო ბაღების, სახლების და სკოლების მნიშვნელობა მოზარდ თაობის აღზრდა განვითარების საქმეში.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს: მუსლიმან სკოლების ინსტრუქტორმა ალი ზადემ, ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელმა ტაგი ზადემ, რაიონულ კომიტეტის წარმომადგენელმა ბაგიროვმა, ვოლგის თათრების კულტურულ განათლების წარმომადგენელმა, ტფილისის მცხოვრებთა სახელით—ხალილოვმა და სულთანოვმა, მუსლიმან პედაგოგების მხრიდან სუბხანკულოვმა და კულიბეკოვმა.

ყველა ორატორი დიდ სიამოვნებას გამოსთქვამდა საბავშვო ბაღის გახსნის გამო და სიხარულით ულოცავდენ ერთმანეთს ასეთ წარმატებას და კულტურულ წინსვლას, რომელიც მიანიჭა მათ საბჭოთა ხელისუფლებამ.

კრების დამთავრების შემდეგ მუსლიმანთა საზოგადოება საუცხოოდ გაუმასპინძლდა თავმოყრილ ბავშვებს და სტუმრებს, შემდეგ დიდი მადლობა გამოუცხადეს განათლების განყოფილების გამგეს ლ. რუხაძეს მათზედ ზრუნველობისათვის. ბაღის გახსნას დაესწრნენ აგრეთვე განათლების კომისარიატის წარმომადგენლები.

სახალხო მეურნეობის მუზეუმის გადაცემა სახელმწიფო უნივერსიტეტს

17 დეკემბერს მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო გამოფენის ნახვა. ერთი თვალის გადავლებით გამოფენა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ როცა ეცნობით მას, ეს შთაბეჭდილება ცოტა არ იყოს ნელდება.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მოკლე დროს, რაც ჩვენი აგრონომია საკუთარ ფეხზე დადგა, და იმ პირობებს რომელშიდაც მუშაობა სწარმოებდა, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ახალგაზრდა მეურნეებს კიდევ ბევრი გაუკეთებიათ. უმთავრესი ნაკლი გამოფენისა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი საქართველო არ არის წარმოდგენილი თავისი ტიპიური კულტურით. ზოგიერთი კუთხე ან სრულებით არ არის, ან სუსტად არის წარმოდგენილი, მაგ. აჭარა, შავი ზღვის პირი და სხვ. ზოგიერთი საყურადღებო მოვლენა, როგორიც არის მაგ. ფილოქსერა და მისგან მოყენებული ზარალი, რომელიც დღეს ჩვენთვის საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს, სრულებით არ არის ნაჩვენები. მოიკოჭლებს მეაბრეშუმეობაც და სხვ. სამაგიეროთ დიდის კმაყოფილებით უცქერთ თვით სტუდენტ აგრონომების მიერ მოხდენილ დაკვირვებებს და მათ ნამუშევარს, მაგ. ხილეულობაზე, სარეველ (сорные) მცენარეებზე, ხორბლეულობაზე და სხვ., საიდანაც ხედავთ, რომ ჩვენი გლეხობის უმრავლესობა იკვებება არა ხორბლით, არამედ სარეველი მცენარეულობით, ეს ერთის მხრივ, და მეორის მხრივ, თუ რის მომცემი ეს თუ ის კუთხე ჩვენი ქვეყნისა, თუ შეგნებულად კეთდება საქმე: ეს არის ჩვენი ქართლის ხილეულობის და სიმინდის გარდაქმნა—გაუმჯობესება გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშებიდან ცხადად ჩანს, რომ ქართლ-კახეთშიაც შეიძლება ისეთი [illegible] ტაროიანი სიმინდის მოყვანა, როგორც დასავლეთ საქართველოში. ხილეულობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

დასასრულ არ შეიძლება არ გამოსთქვას კაცმა ის კმაყოფილება ამ გამოფენის ნახვით, რომ ჩვენი მეცნიერული აგრონომია თან და თან უახლოვდება ჩვენ სოფლის მეურნეობას, ჩვენ გლეხკაცობას; და გული სიხარულით გევსება, როდესაც ხედავ, რომ ყოველივე ეს გაკეთებულია სტუდენტ-აგრონომების ხელით, რომლებიც იქვე ახალგაზრდული გატაცებით ხსნიან და განმარტავენ თავის ნაშრომ-ნამოღვაწარს. გაუმარჯოს მათ მუშაობას.

ხატუშანი.

ქრონიკა

შინაგ. საქ. სახ. კომ.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო კომისია უკვე ათავებს მიმდინარე წლის სამაზრო აღმასკომების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას და უდგება მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

ბანდიტების მოკვლა.

შინაგან საქ. სახ. კომისარიატში მიღებულია ცნობა ახალციხიდან, რომ სამაზრო მილიციის მიერ სროლის დროს მოკლული იქნენ ცნობილი ბანდიტი ყაჩაღები: ნებიტ-დურსუნ-ოღლი, ალიდი ამ[illegible]-ოღლი და შირინ-აზიზ ოღლი, რომლებიც დიდი ხანია, რაც შიშის ზარს სცემდენ მცხოვრებთ.

ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ იქ გაქცევის დროს მოკლულ იქნა ცნობილი ბანდიტი ნოშრევან მარჩატაძე.

ფ.-ტ. ს. კომისარიატში

სახელმწიფო ბანკის დეპეშები.

წინადადება მიეცა ფოსტა-ტელეგრაფის ტფილისის, ბაქოს, ერევნის და ბათომის კანტორების უფროსებს რათა რუსეთის სოც. ფ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის და მისი განყოფილებების დეპეშების გადაცემა და ჩაბარება დაუყოვნებლივ ხდებოდეს.

ტელეფონის ხაზის გაყვანა.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტექნიკური სამართველოს მიერ ამა წლის ნოემბერში გაყვანილ იქნა ტელეფონის ახალი ქსელი ალი-[illegible]-აშტარაკ კამარლუ დაველის. და ყუმბარ-ჰატამა გოქჩას შორის სულ 55 ვერსტის სიგრძე. შეკეთებულია [illegible] 778 ვერსტის ძველ ლინიაზე და 1410 სვეტი.

ახალი ნიხრი საზღვარ-გარეთ გასაგზავნ წერილ-ამანათებზე.

შემოღებულია ახალი ნიხრი საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების გარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

საზ. მეურ. უმაღ. საბჭოს ცენტრო-გარაჟი

ცენტრო-გარაჟი მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე № 3ი, გარაჟში მუშაობს 79 მუშა. მათ შორის ერთი დედაკაცია, ორი შეგირდი 15—16 წლისა. მუშებს ადმინისტრაციასთან აქვთ კოლექტიური ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ძალით ახლა მუშა თვეში, საშუალოდ, ღებულობს გასამრჯელოს 3 ნახ. მილიონ მანეთამდე და „სპეციალურ ტანსაცმელს", უკანასკნელი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო არც ერთ მუშას არ მიუღია, რის გამო მუშები ძალიან უკმაყოფილონი არიან. მუშათა შორის უკმაყოფილებას იწვევს აგრეთვე შუშის საკითხი. მუშები მოითხოვენ ადმინისტრაციისაგან შუშას. ადმინისტრაცია მუშათა მოთხოვნილებას ვერ ასრულებს ფინანსიურ და ეკონომიურ დაბრკოლებათა გამო.

რაც შეეხება გარაჟის შენობას, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ იგი დაშორებულია ყოველივე არხიტექტურულ და ჰიგიენურ მოთხოვნილებას. შენობას არა აქვს კარები, სახურავი. თანახმად მუშების განცხადებისა, დამპალი და გაფუჭებული შენობა არ არის დაცული არც წვიმისაგან და არც სიცივისაგან. ამის გამო შენობის გათბობა შეუძლებელია და შიგ ძალიან ცივა. ამაზე მუშები დიდ უსიამოვნებას გამოსთქვამენ და მოითხოვენ შენობის რემონტს და მისი შეძლებისდაგვარად გათბობას.

გარაჟში მუშებს უხდებათ მუშაობა მაზუთით, ნავთით და სხვადასხვა გვარი ზეთით. ამგვარი მუშაობა ადმინისტრაციისაგან მოითხოვს გარაჟის ჰიგიენურად მოწყობას, როგორც არის ხელსაბანი და უფასო საპონი მუშებისათვის. მუშები კი ამ საშუალებას სრულებით მოკლებულნი არიან. ამიტომ მოითხოვენ გარაჟში გაყვანილ იქნას წყალსადენი და მიეცეთ მათ უფასო საპონი სამუშაო დღის ბოლოს ხელის და პირის დასაბანად.

შვებულებით უსარგებლია მხოლოდ 49 მუშას. დანარჩენებს შვებულებაზე უარი ეთქვათ, თანახმად 2—4 მუხ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 36. ამ კატეგორიის მუშები მოითხოვენ კონპენსაციას ფულათ.

გარაჟში მიღებულია ზედმეტი საათების მუშაობა და წარმოებს კიდევაც, მაგრამ მუშები ერთხმათ აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია ზედმეტი საათის მუშაობის საფასურს მხოლოდ ჰპირდება მუშებს და ფაქტიურად კი მათ არ აძლევს ასეთს. მუშები ამით ძალიან უკმაყოფილონი არიან და პროფკავშირისგან მოითხოვენ მათი ინტერესების დაცვას ამ მხრივადაც.

გარაჟში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სრულებით არ წარმოებს. მუშებს არა აქვთ არც ბიბლიოთეკა, არც კლუბი. მათ შორის არიან იმისთანა პირნი, რომლებმაც წერა-კითხვა სრულებით არ იციან.

მუშები გამოსთქვამენ სურვილს გახსნილ იქნას მათთვის კლუბი, სამკითხველო და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

გ. მ.

როზა ლიუქსენბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა

თამბაქოს ქარხანა მოთავსებულია ვოგზალის ქუჩაზე № 8 და ეკუთვნის საზ. მეურ. უმაღ. საბჭოს. ქარხანაში მუშაობს სამასი მუშა მოსამსახურე. ქარხანა ამზადებს ორგვარ პაპიროსს: „სამეფო" და „სოლიდნი"-ს. უმაღლესი თვისებანი ზემოხსენებულ პაპიროსთა ყველამ იცის და ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ამაზე ლაპარაკი.

ქარხანა მოწყობილია ყოველ მხრივ, მხოლოდ აკლია ვენტილიაცია, რომელიც გაფუჭებულია ცეცხლის მიერ. მაგრამ ამაზე არის ქარხნის კომიტეტის და „კომიაჩეიკის" მიერ მიქცეული სერიოზული ყურადღება და მიღებულია სათანადო ზომებიც მის აღსადგენად.

სხვა მხრივ ქარხანა ჰიგიენურ მოთხოვნილებებს სრულიად აკმაყოფილებს. ქარხანაში არის საკმარისი სინათლე და სითბო. დაცულია აგრეთვე შეძლებისდაგვარად სისუფთავე.

მუშათა შორის სუფევს ერთსულოვნობა, ამხანაგობა და სრული თავაზიანობა. ყოველ მათ მოქმედებაში წითელ ძაფივით გამოსჭვივის შეურყეველი სოლიდარობა ნამდვილ და შეგნებულ კოლლექტიურ მუშაობისა.

ქარხანასთან არსებობს „ბავშთა სახლი". სახლი კოხტად და საუცხოვოდაა მორთული. აქ სუფევს აბსოლიუტური სისუფთავე. არის საკმარისი სინათლე და სდგას ზომიერი სითბო. სახლში ამ ჟამად იმყოფება ოცდა ორი ბავშვი. მათი მოვლა საუკეთესოა. ბავშვების კვება ხდება ზედმიწევნით კარგად. ერთი სიტყვით, ქარხანა ღებულობს ყოველივე ზომებს, რომ ბავშვები უზრუნველ იყონ ყოველ მხრივ.

საბავშო სახლის გვერდით ქარხანას აქვს განზრახული გახსნას საბავშო „კერა". ამ საჭიროებისათვის მას აქვს სათანადო შენობა დანიშნული, რომელიც შესდგება ორი დიდ და სინათლიან ოთახისაგან და აქვს თავისი საკუთარი სამზარეულო.

ქარხანაში არსებობს „კომიაჩეიკა", რომელიც ხელმძღვანელობს პოლიტიკურ და პროფესიონალურ მუშაობას უპარტიო მუშებს შორის და თვალყურს ადევნებს ქარხნის სამეურნეო ცხოვრებას.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ქარხანაში დაყენებულია კარგად. აქ მოხდა მუშათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ყოველმა მუშამ იცის წერა კითხვა. გარდა ამისა, ქარხანასთან არსებობს სკოლა პირველ-საფეხურის რუსულ და სომხურ ენებზე. სკოლაში სწავლობს 48 მუშა. ერთი მუშა გაგზავნილია მუშათა ფაკულტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

ქარხანაში არის ამბულატორია, რომლიდანაც ყოველ მუშას ოჯახიანთურთ ეძლევა სრულიად უფასო საექიმო დახმარება. აქვე მუშაობენ სხვადასხვა წრეები, როგორც მაგ., მუსიკალური, როიალისა, სასოლო სიმღერათა და სხვა. არის ორი მომღერალთა გუნდი ქართულ და რუსულ ენებზე.

ქარხანაში არის ფეხსაცმელების სახელოსნო, რომლითაც სარგებლობენ მუშები თავიანთ ოჯახის წევრებითურთ უფასოდ.

ქარხანას აქვს განზრახული მუშებისთვის გახსნას თეატრი და სასადილო. ორივესთვის უკვე დამზადებულია შენობები.

ქარხნის კომიაჩეიკის პასუხისმგებელი მდივანი—გუკო.

ტფილისის ქალაქის წყალსადენის სახელოსნოში

ქალაქის წყალსადენის სარემონტო და წყალთაზომის სახელოსნოები, რომელნიც ეკუთვნიან თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმოებას, მოთავსებულია კიროჩნის და ჩერქეზოვის ქუჩების კუთხეში.

სახელოსნოში მუშაობს სულ 126 მუშა მოსამსახურე, მათ შორის მოსამსახურე—45; მუშები მამაკაცები—73, დედაკაცი—6 და მცირე წლოვანი—2, სულ 81 კაცი. ეს შტატი სრულიად საკმარისი იყო ამ უკანასკნელ დრომდე, როდესაც საქმის განვითარების და მეტი ნაყოფიერების მისაღწევად წამოიჭრა საჭიროება შტატის გადიდებისა. საშუალოდ წყალსადენი, მეფობის დროს იძლეოდა დღეში წყალს 1 მილიონ ვედრომდის. ახლა კი ის აწვდის 1.200.000 ვედრომდის. ქალაქის მოთხოვნილება წყალზე ადის 2 მილიონ ვედრომდე დღეში.

ნაყოფიერების ამ სასურველ დონემდე მისაღწევად მიღებულია ყოველივე ზომები, უმეტესად, ექსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესების ხრივ.

ხელფასს მუშები ღებულობენ დანიშნულ დროზე, თანახმად კოლექტიურ ხელშეკრულებისა 3-დან 5 მილიონამდე, რომელიც, მუშების განცხადებით, აღარ აკმაყოფილებს მათ საცხოვრებელ მინიმუმს. ადმინისტრაციასთან დამოკიდებულება თავაზიანია. შრომის კანონმდებლობის დარღვევას აქ ადგილი არა აქვს. მუშები ამ მხრივ სრულიად კმაყოფილნი არიან.

მუშათა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ადგილკომი ჯამაგირების ანგარიშში ღებულობს ადმინისტრაციიდან ავანსს; იძენს შეღავათიან ფასებში სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგეს და ურიგებს მუშებს, რითაც დიდ დახმარებას უწევს მათ, განსაკუთრებით, ეკონომიურ კრიზისების დროს.

კულტურული მუშაობა დაყენებულია სათანადო დონეზე. არსებობს წიგნთ საცავ სამკითხველო, სადაც მოდის ყოველგვარი გაზეთი სხვა და სხვა ენაზე; მაგრამ განსაკუთრებით მუშები ეწაფებიან წიგნებს, რომლის მცირე რიცხოვნების გამო ბევრი მუშა რჩება უწიგნოთ. ამის გამო მუშები გამოსთქვამენ სურვილს წიგნების რაოდენობის გადიდების შესახებ.

აქვე არსებობს აგრეთვე ამბულატორია, სადაც მუშები ოჯახითურთ ღებულობენ დამაკმაყოფილებელ საექიმო დახმარებას.

მუშებში არის 15 კაცი, რომლებმაც სრულებით არ იციან წერა-კითხვა. ამ სამწუხარო მოვლენის სალიკვიდაციოდ ადგილკომს აქვს მიღებული სათანადო ზომები, მაგრამ სასურველი შედეგების მისაღწევად ადგილკომის ინიციატივა არ კმარა. საჭიროა უფრო კომპეტენტური ორგანოს ამ საქმეში დაჩქარებით ჩარევა და დახმარება.

სანიტრიის და ჰიგიენის მხრივ ქალაქის წყალსადენის სახელოსნო წარმოადგენს ერთ საუკეთესო ნიმუშს.

სახელოსნოში სინათლე სრულიად საკმარისია. კედლები მშრალი და სუფთად შეთეთრებულია. შუა იატაკზე მდგარი თუნუქის ღუმელი იძლევა ზომიერ სითბოს. მუშებიც ერთგულად და ბეჯითად ეკეთებენ თავიანთ საქმეს. სხვა ნაირად არც კი შეიძლებოდა ასეთ იშვიათ და კარგ შრომის პირობებში.

მერ.

ბოლო დროს მოხდა ახალი არჩევნები უჩპროფსოჟისა და აირჩიეს სულ ახლები. ბ-ნმა ვასო ხოზბეროვმა ისარგებლა იმითი, რომ უჩპროფსოჟში არიან სულ ახლები, შეუდგა თავის განზრახვის განხორციელებას და მიაღწია კიდეც მიზანს. მთელი სცენის მოყვარეები და რეჟისორიც მონათლა როგორც კონტრ-რევოლიუციონერები და თავისი თავი გამოიყვანა, როგორც რევოლიუციონერი. ჩვენდა სამწუხაროდ უჩპროფსოჟიც გაყვა ამ პროვოკაციას და დასი გამოაცხადა დაშლილათ, ყველა საუკეთესო სცენის მოყვარეები გამორეკა დასიდან, ერთი თვეა ხაშურის მუშათა კლუბში არ დადგმულა არც ერთი წარმოდგენა და ასეთ მუშათა ცენტრში, როგორიც არის ხაშური მუშებს არა აქვთ დრამატიული დასი. საჭიროა ხაშურის უჩპროფსოჟმა მიაქციოს სათანადო ყურადღება და შექმნას ხაშურის მუშათა დრამატიული დასი საუკეთესო ძალებიდან და არ გაყვეს ბ-ნი ვასო ხოზბეროვის პროვოკაციას, რომელიც სრულიად არ არის დაინტერესებული სახელმწიფო საქმეში.

ხაშურის მუშათა კლუბის წევრი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი წინადადებას აძლევს მოქ. იოსებ ანთაძეს გამოცხადდეს პირადათ მთავარ კომიტეტში მომავალ 1923 წლის 1 იანვრამდე მასზე დარჩენილ ანგარიშების გასასწორებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

25 დეკემბერი 1922 წ.

ჩვენი ფოსტა

ადგილობრივ პარტორგანიზაციებს გთხოვთ გვაცნობოთ პასუხისმგებელ კორესპონდენტების ვინაობა (სახელი, გვარი, რა მუშაობას ეწევიან ორგანიზაციაში) სადაც არ არიან ასეთი კორესპონდენტები, საჭიროა მათი ამორჩევა და იგივე ცნობის გამოგზავნა მათ შესახებ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 32

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში. 25 დეკემბერი 1922 წ.

1. საქართველოს ს. ს. რ.-თვის მიღებული საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ომამდე არსებული საქონლის ფასის გამომხატველი მანეთის კურსი დეკემბრის თვის მეორე ნახევრისათვის განისაზღვროს 338.000 მანეთით ქართულ ბონებში, ხოლო საშუალო კურსი მთელი დეკემბრის თვისათვის—283.000 მანეთით ქართულ ბონებში.

2. იმ წარმოება-დაწესებულებებში, რომლებშიც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება—საფუძვლათ უდევთ ომამდე არსებული საქონლის ფასის გამომხატველი მანეთით—სატარიფო განაკვეთი, მათ ევალებათ ანგარიში გაასწორონ ამა დადგენილებაში აღნიშნული კურსის მიხედვით.

3. პროვინციაში ყველა ანგარიშის გასწორება შრომის ხელფასის განსაზღვრისათვის უნდა იწარმოოს 100 პროც. ზოლის ინდექსით, რომელიც შემცირებული უნდა იქნეს სატარიფო ზოლების თანახმად.

4. დადგენილება ეს არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებშიც განაკვეთის გამოანგარიშება გათვალისწინებულია აღრიცხული პროდუქტით.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში ა მიქაძე

საქმეთა მმართველის მაგიერი ა. თურქია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში (ყოფ. 1-ლ ვაჟთა გიმნაზია) შესდგება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა მარქსისტული წრის კრება.

— საქ. კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ხუთშაბათს, 28 დეკემბერს, დილის 11 საათზე, იწვევს რაიონულ კომიტეტების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირს.

დღის წესრიგი

1. რაიკომების საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებითა გამგეების მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიმართება მე-4 რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრება.

— ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრება.

მდივანი ვართაპეტიანი.

პროფესიონალური

— ხუთშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა, კავშირების ცენტრალურ გამგეობის, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების წევრთა მონაწილეობით.

დღის წესრიგშია: ამხ. ჯუღელის მოხსენება პროფინტერნის კონგრესის შესახებ. საკითხის მნიშვნელოვანობის გამო პლენუმის, კავშირთა ცენტ. გამგ., ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გუგუშვილი.

გასაგზავნ წერილებზე. ამანათებზე და სხვ.

ტფ. სამაზრო აღმასკომში

ხარჯთ-აღრიცხვა ხიდის აშენებისათვის.

შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვა დაგედხაჩინის ხიდის აშენებისათვის (მდინარე ხრამზე) რომელიც აერთებს ტფილისის და ბორჩალოს მაზრებს. მუშაობა დაიწყება ახლო მომავალში. საშუალებებს გაიღებს, როგორც ტფილისის, ისე ბორჩალოს სამაზრო აღმასკომი.

ტვირთზიდვის გადასახადის აკრეფა ტფილისის მაზრაში.

ტვირთზიდვის გადასახადი ტფილისის მაზრაში აკრეფილია 100 პროც. (2 მილიარდ მანეთამდე ქართული ბონით). აკრეფილი ფულის ნაწილი გადადებულია გზატკეცილების, გზების და ხიდების შეკეთებისათვის.

საზ. კომისართა საბჭოში

თანხის გადაცემა.

სახალხო კომისართა საბჭომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში, ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრონის სადგურის აშენების საჭიროებისათვის, გადასდო 850 მილიონი.

ხიდის აგება სოფ. ქედაში.

კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა აჭარის ავტონომიურ კომისართა საბჭოსი, და დაადგინა სოფ. ქედაში მდინარეზე ბაგის ხიდი, ხსენებულ ხიდისათვის პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის გამომუშავება დაევალა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რომელმაც უნდა გაგზავნოს ამ საქმის თაობაზე აჭარაში ინჟინერი ჰეპინაძე.

დეკრეტის პროექტი.

დეკრეტის პროექტი, ცეცხლისაგან უძრავ ქონების დაზღვევის შესახებ რესპუბლიკის ფარგლებში, გადაეცა საგანგებო კომისიას საბოლოო რედაქციისათვის, რომელშიდაც შედიან წარმომადგენლები: ფინანსთა კომი[illegible] იუსტიციის კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის. ხსენებულ წარმომადგენლების კომისიაში მოწვევა დაევალა იუსტიციის კომისარიატს.

ბავშთა მეორე საავადმყოფო.

ჯანმრთელობის კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: გადეცემულ იქნას ყოველდღიურად 1923 წლის 1 იანვრიდან ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში 12 მილიონი, ბავშთა მეორე საავადმყოფოს ხარჯების დასაფარავათ.

გორის აღსადგენათ.

ყველა საკითხების წინასწარ განსახილველათ და გამოსარკვევათ, რომლებიც შეეხება გორის აღდგენის საქმეს, დაარსებულ იქნა საგანგებო კომისია, რომელსაც ევალება, აგრეთვე, სასწრაფოთ გამოიმუშაოს და წარადგინოს კომისართა საბჭოს წინაშე დასამტკიცებლათ პროექტის დებულება გორის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

უფასო წარმოდგენები მუშებისათვის

განათლების კომისარიატის განკარგულებაში აკადემიურ თეატრების უზრუნველსაყოფათ გადაიდო 10 მილიარდი შვიდას ოცდა-ოთხი მილიონი რვა ასი ათასი მანეთი, ზამთრის სეზონისათვის იმ მიზნით, რათა სეზონის განმავლობაში თვეში, ხსენებულ თეატრებში დაიდგას 8 წარმოდგენა მუშებისათვის უფასოთ.

ქალაქის აღმასკომში

საბინაო განყოფილების გაუქმება

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: საბინაო განყოფილება გაუქმდეს, რისთვისაც გამოყოფილ იქნას სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ს. ელენტი, საბინაო განყოფილების გამგე ს. დოლიძე, საბინაო განყ. მდივანი შენგელია და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ორი წარმომადგენელი. აღნიშნულ კომისიას დაევალა სასწრაფოდ შეადგინოს საბინაო განყოფილების ლიკვიდაციისა და შემდეგში საბინაო საკითხის მოწესრიგების გეგმა და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს განსახილველად.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტში, თავის წარმომადგენლათ დანიშნა ამხ. ნიკო კიკნაძე, მთელი მუშაობის ხელმძღვანელოთ.

სხვა და სხვა

ელექტროფიკაცია სოფლათ.

ალბულაღის და ასურეთის რაიონის 8 სოფლის გლეხებმა დაადგინეს მდინარე ალგეტზე მოაწყონ ასი ცხენის ძალის მოტორი, რომელიც გაანათებს არა მარტო ამ სოფლებს, არამედ მიაწვდის ენერგიას ს. წინწყაროს ელექტრონის წისქვილს. მოლაპარაკება სწარმოებს შვეციის ელექტრო ტექნიკურ კანტორის წარმომადგენელთან ტფილისში.

სამოქალაქო გადასახადის აკრეფის საქმე.

26 დეკემბრიდან დაიწყო სამოქალაქო გადასახადის აკრეფა. სპეციალური ამკრეფები ყველა საუბნო კომისარიატებში იღებენ გადასახადს მანეთის კურსით 31 დეკემბრამდე მიღებულია 250,900 მან.

ჟურნალი „მომავალი".

რედაქციამ მიიღო საქ. ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „მომავალი"-ს მეშვიდე ნომერი, რომელშიდაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: პირველი კონფერენციის შედეგები საბჭოების მეათე ყრილობა—ვ. გოგუშვილი. საგანგებო შეფი—ვ. ზ. რით განსხვავდება წითელი კურსანტი იუნკრისაგან—ი. ტ-ძე. „ორი გზა" (დასასრული)—დ. გვაზავა. „მარქსიზმი და კოსმოპოლიტიზმი"—დ. ა. კარლ მარქსი და ბემბავერკი (დასასრული)—კ. ორაგველიძე. უახლოესი ამოცანები (გაგრძელება) ა. პიტერსკი. მოძრაობის სათავეებთან—ლ. შაცკინი როგორ გავხდი მარქსისტი—ფ. მახარაძე. მაღარო „ძია თომა"—ბ. კელერმანისა. „სპარტაკის" დროებითი პროგრამა წესდება. ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და ღირს 25 ათასი მანეთი.

ხელოვნება

ალ. ყაზბეგის მოთხრობა „მოძღვარი" ეკრანზე.

სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციამ დაასრულა ალ. ყაზბეგის „მოძღვარის" გადაღება. სურათი მოკლე ხანში იქნება ნაჩვენები ჯერ თბილისში და შემდეგ რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.

წარმოდგენა კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

2 იანვარს, ქართული თეატრის დღესასწაულის და ქართველი „მსახიობის დღეს" რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში". პიესას დასდგამს კ. მარჯანიშვილი. წარმოდგენა უმთავრესად მასიურია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 100-ზე მეტი მსახიობი.

შალვა დადიანის იუბილე.

განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების მთავარი კომიტეტის თაოსნობით, 3 თებერვალს გაიმართება შალვა დადიანის იუბილე, მისი სამწერლო და სასცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ. ამ დღისათვის გამოვა მისი ნაწერების პირველი ტომი, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებული იქნება მისი შესანიშნავი რომანი „უბედური რუსი". ამ რომანის ნახევარზე მეტი დაიბეჭდა 1916 წ. გაზ. „საქართველოს" სურათებიან დამატებებში, რომელიც მეტად საინტერესოა როგორც შინაარსით ისე სტრუქტურით, წიგნს აგრეთვე დართული იქნება ავტორის ბიოგრაფია, რომლის შედგენა იკისრა პოეტმა შალვა აფხაიძემ. მასვე აქვს მინდობილი წიგნის ტექნიკური მხარე და მასალების დალაგება შერჩევით, რაც თავდებია იმის, რომ წიგნი უნაკლო იქნება ყოველ მხრივ.

სახელმწიფო ოპერა.

დღეს, ოთხშაბათს 27 დეკემბერს „კარმენი" მონ. მუხტაროვა, აგრანოვსკი, გორელოვი და სხ.

„ჟურნალი ილიონი".

საახალწლოდ გამოვა ჟურნალი ილიონის № 3. ჟურნალს დართული აქვს ნიცშეს სურათი. ჟურნალი ღირება 40 ათასი მანეთი,

პროვინცია

დრამატიული დასი ქ. ხაშურში.

ხაშურში არსებობდა დრამატიული დასი, რომელმაც ორი წლის განმავლობაში ვერ შესძლო თავის სიმაღლეზე დადგომა და მასში ყოველთვის ადგილი ჰქონდა ინტრიგას და კინკლაობას. დასში ირიცხებოდა ძველი და ახალი სცენის მოყვარეები. ახალი სცენის მოყვარეები ყოველთვის სჯობნიდნენ ძველ სცენის მოყვარეებს და ამით იყო გამოწვეული გამოულეველი ინტრიგა. ამ ინტრიგას ყოველთვის მეთაურობდა სცენის მოყვარე ბ-ნი ვასო ხოზბეროვი, რომელიც მუდამ იმას ცდილობდა, რომ ყველა კარგი სცენის მოყვარეები მოეშორებინა და თითონ დარჩენილიყო; მიზნის მისაღწევათ ის ყოველთვის მიმართავდა სხვა და სხვა ხრიკებსა, მაგრამ თავის [illegible] ბდა. ამ ორი თვის წინად ხაშურის უჩპროფსოჟის მიერ იქნა მოწვეული მუშათა კლუბში საერთო კრება სცენის მოყვარეებისა, სადაც მოხდა გაწმენდა დრამატიული დასისა, და ბატონი ვასო ხოზბეროვი იქნა გამორიცხული. იქნა არჩეული ახალი რეჟისორი ამხ. კოსტა ფერაძე, რომელმაც დღიდგან არჩევისა შეუდგა პირნათლათ თავის მოვალეობას და ერთი თვის განმავლობაში მან სასცენო საქმე დააყენა თავის სიმაღლეზე. ამ

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: ასული ნინა, სიძე სპირიდონი და შვილისშვილი რევაზ ჩომახიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 25 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი დეკანოზი

სპირიდონ გიორგის ძე ლეკვეიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ქუთაისი,—ბალახვანის ქ. საკუთარი სახლი.

1—1

დამწუხრებულნი: ნატალია მათის ასული, ოლღა, თამარა, ბარბალე, კუკური, ირაკლი და ვასილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს—პირველის მეუღლის, ხოლო დანარჩენთა—საყვარელი მამის დეკანოზ

სპირდონ გიორგის-ძე ლეკვეიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქუთაისი ბალახვანის ქ. საკუთარი სახლი.

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 27 დეკემბერს

კარმენი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 797—1—1)

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ 26 დეკემბრიდან დაწყებულია საუბნო კომისარიატების სამისამართო-მაგიდებში მიღება გადამხდელთა სიების და გადასახადის.

გადასახადის მიღება სწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 3 საათამდე განუწყვეტლივ.

სახლის პატრონები ან ის პირნი, რომლებიც ასრულებენ სახლის პატრონის მოვალეობას, ვალდებულნი არიან [illegible] თავიანთ მდგმურთა სიები და შეკრებილი გადასახადი, თანახმად ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 15.

გადასახადი შეიძაქვთ თანახმად ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული კურსისა:

1) 50 კაპ. ოქროთი გადამხდელებს 125.000 მან. ქართ. ბონებით.
2) 1 მან. ოქროთი გადამხდელებს 250.000 მან. ქართ. ბონებით.
3) 1 მ. 50 კ. ოქ. გადამხდელებს 375.000 მან. ქართ. ბონებით.
4) 3 მან. ოქროთი გადამხდელებს 750.000 მან. ქართ. ბონებით.

აღნიშნული კურსი ოქროს მანეთისა დაწესებულია მხოლოდ 31 დეკემბრამდე თანჩათვლით.

(კრ. 794—1—1) სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია სთხოვს მუშა-მოსამსახურეთა **საქარხნო კომიტეტებს და ადგილკომებს** დააჩქარონ მიღება სათანადო პროფ. კავშირთა გამგეობისაგან მუშა-მოსამსახურეთათვის სპეციალურ მოწმობათა შიგ აღნიშვნით, თუ რომელი კატეგორიით იღებენ ჯამაგირებს და აგრეთვე მიღება გადასახადიდან განთავისუფლების მოწმობათა იმათთვის, რომლებიც სავალდებულო დადგენილების ძალით განთავისუფლებულნი არიან აღნიშნული გადასახადისაგან.

რომ სამოქალაქო გადასახადის აკრეფის საქმე არ შეფერხდეს, აღნიშნული **მოწმობები** უნდა იქმნეს აღებული პროფკავშირებიდან **არა უგვიანეს 28 დეკემბრისა და სახლის პატრონებისაგან წარმოდგენილი საუბნო სამილიციო სამისამართო მაგიდაში სიებთან და გადასახადთან ერთად არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.**

(798—1—1) სამოქალაქო გამტარებელი კომისია.

საქართ. სახალხო ბანკის გამგეობა

თანახმად ბანკის დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოთ, რომ იმ პირთ, ვინც გადააცილა ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადიხადონ ქართული ბონებით

ამა წლის 30 დეკემბრამდე

ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა № 61 თარიღით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასავალის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

სახალხო ბანკის გამგეობა.

კრ.—796—2—1

ტფილისის კვანძის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოების

„უჩტპო"

შენობაში ელისაბედის ქუჩა № 181 დიდუბეში იყიდება შინაური კურდღლები: დიდები, ახალ-გაზრდები, მამლები და დედლები. ანგორის, ფლანდრიის, ვერცხლის-ფერი, ცის-ფერი და სხვა ჯიშები:

1. მოზრდილები 100.000 მანეთიდან . . 150.000 მანეთამდე.
2. ახალგაზრდები 50.000 მანეთიდან . . 100.000 მანეთამდე.

მსურველებს შეუძლიათ იყიდონ ინვენტარიც (გალიები).

უპირატესობა ყიდვაში ეკუთვნის საბავშვო ბაღებს და სახლებს და აგრეთვე რკინის გზელებს.

გამგეობა იმყოფება—ელისაბედის ქუჩა № 200-ში.

(712—2—1)

კალენდრები 1923 წლისათვის

გამოც. მოსკოვის პრესის და ცენტროკავშირისა, მოიპოვება დიდი რაოდენობით

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას.

პლეხანოვის პრ. № 138, მესამე სართული.

კრ. 798 (3-1)

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ექს ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი ფილტვების—ქლექი და გულის ავადმ. სპეც. წამლობა მალიარსონის ზაზ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 ს. დილ. და 5—7 [illegible] საღ.

[illegible]

(63425—16)

სახლი

განმარტოებულათ მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩ № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

691—12—6

ტირაჟი 10,000 ს. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.